სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N36 (9216) 30 იანვარი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი

გილოცავთ შობა - ახალ წელს!

გვეზიზღვე და ყიდეე ერთხელ ვცდი ბედს გამგებლის თანამდებობაზე

გვეუბნებიან, პიარი არ გივარგათო

თეა ბაბუნაშვილი

მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში წინასაახალწლო დღეებში გაიმართა შეხვედრა, რომელსაც სამტრედიელების მახსოვრობაში ანალოგი ბოლო ათწლეულზე მეტია არ ჰქონია. მუნიციპალიტეტის გამგებელი ამომრჩეველს, მოსახლეობას ბოლო ორი წლის მანძილზე შესრულებულ საქმეთა ჩემონათვალით წარუდგა. საკრებულოს სხდომებზე არაერთგზის ნათქვამი საყვედური, რომ გამგებელი სხდომებს უნდა ესწრებოდეს მისი მისამართით დაგროვილი კითხვების საპასუხოდ, ამ შეხვედრით რამდენადმე გაქარწყლდა. მისთვის კითხვის დასმა ნებისმიერ მსურველს შეეძლო დარბაზიდან. ეს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველაზე დიდი შეხვედრა გახლდათ საზოგადოებასთან. გამგებელმა ამომრჩეველი იმ თემებზე სასაუბროდ შეკრიბა, რაზეც მათ პასუხები აინტერესებდა, საზოგადოებას ანგარიში ჩააბარა რისი გაკეთება შეძლო მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტის ბედი ანდეს. "არ დავიწყებ საუბარს იმაზე, თუ რა იყო, რა გაკეთდა ან ვერ გაკეთდა, სანამ ამ პოსტს ჩავიბარებდი. გაგაცნობთ მე რა შევძელი და რა ვერა, გესაუბრებით იმაზეც, როგორია სამომავლო გეგმები მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით. შევეცადე ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე დამეხარჯა იმ რაიონის საკეთილდღეოდ, მეც თქვენსავით რომ მიყვარს." _ ამ სიტყვებს ვალერი ფოცხვერიამ იმ ინფრასტრუქტურული, სოციალური და კულტურული პროექტების ნუსხა მოაყოლა, მისი ხელმძღვანელობით სამტრედიაში **2015-2016** წლებში რომ განხორციელდა.

კაპიტალურად გარემონტდა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, მის ერთ ნაწილში შეიქმნა კომფორტული გარემო მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის. ასევე, გარკვეული სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში. სხვა სამუშაოებთან ერთად, მოწესრიგდა სველი წერტილები. მოხდა რუსთაველისა და რესპუბლიკის ქუჩების კვეთაზე არსებული კედლის რეაბილიტაცია. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 აპრილს დაღუპულთა და საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლ გმირთა მემორიალს. გარემონტდა სათნოების სახლის შიდა ინტერიერი, გარდა ამისა, შეიცვალა კარფანჯრები, მოეწყო პანდუსები, მოწესრიგდა სველი წერტილები და სამზარეულო. სველი წერტილები და სამზარეულოები მოწესრიგდა საბავშვო ბაღებშიც. ზოგიერთ მათგანს გამოეცვალა სახურავი, შერემონტდა საძინებელი ოთახები. შეუძინეს ინვენტარი. მუნიციპალიტეტის 33-ვე საჯარო სკოლაში ცალკეული მათგანის საჭიროებების გათვალისწინებით ჩატარდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩაუტარდა მდინარე რიონსა და ცხენისწყალს. ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდა მრავალსართულიანი სახლების გადახურვითი სამუშაოები ქალაქის ტერიტორიაზე. რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით, ქალაქის ტერიტორიაზე 36 მიმართულებით მოხდა გზის საფარის რეაბილიტაცია. ქალაქის გარდა, მსგავსი სამუშაოები არაერთ სოფელში ჩატარდა. ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდა ქალაქის ქუჩებზე წყალსაწრეტი არხების გაწმენდა, მდინარე "ჭურთავას" აღმოსავლეთით დეკორატიული მოაჯირის მოწყობა, აგრეთვე, დეკორატიული ფილებით მოპირკეთდა ტროტუარები, მოეწყო ქალაქის პოლიკლინიკის მიმდებარე ტერიტორია. მოეწყო და მოწესრიგდა სკვერები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გარემონტდა სოფლის ამბულატორიები, შემოირაგვა სტადიონები, სასაფლაოები, შეკეთდა მგზავრთა მოსაცდელები, მოეწყო 800 ერთეული გარე განათება. მაღალმთიან სოფლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა წყლის სისტემას, აიგო საქლორატორიები, გამოიცვალა წყლის მილსადენები. სტიქიის შედეგად დაზიანებული რეგიონების აღდგენითი სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხებით აშენდა ტოლები-ბუღნარას დამაკავშირებელი ხიდი. გამგებელმა ცალკეული სოფლების მიხედვით ისაუბრა იმ სამუშაოებზე, რომლებიც სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა.

სოფელ დიდ ჯიხაიშში, სადაც გასულ წელს იუსტიციის სახლი აიგო, გარემონტდა ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი. სამუშაოები კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შარშან 78 ათასი, წელს კი 380 ათასი ლარით დააფინანსა.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით ქალაქისა და სოფლების ტერიტორიაზე გაიწმინდა ათეული წლის გაუწმენდავი არხები.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 14 თემში შემავალ 50 სოფელში 135 სხვადასხვა ტიპის პროექტი შესრულდა. განხორციელდა 31 სოფლის გზიფიცირება. საერთო ჯამში 222,7 კმ საშუალო და დაბალი წნევის გაზსადენი მილი გაიყვანეს.

სოციალური დახმარება გაეწია 3440 მოქალაქე,. 278 შშმ პირს კი ფინანსური დახმარება. სარიტუალო ხარჯები გაიცა 21 ადამიანზე, დაეხმარნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ 31 ვეტერანს, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული 4 მეომრის ოჯახს, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე 45 ადამიანს. განსაკუთრებული შემთხვევისას დაფინანსდა 896 მოქალაქე, ხანძრისგან მიყენებული ზარალი შესაძლებლობის ფარგლებში აუნაზღაურეს 7 ოჯახს, დახმარება გაეწია დიალიზის პროგრამას დაქვემდებარებულ 44, ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომითა და დიაბეტით დაავადებულ 53 ბენეფიციარს. სარეზერვო ფონდიდან გამოიყო თანხა 3 მრავალშვილიანი ოჯახისთვის ტექნიკის შესაძენად. ყველა ამ პროგრამის განსახორციელებლად 1 374 ათასი ლარი გამოიყო. 760 სოციალურად დაუცველი უზრუნველყოფილი იქნა მედიკამენტებით. სამედიცინო მომსახურება დაუფინანსდა 980 მოქალაქეს. სოფლის მოსახლეობისთვის ჩატარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევები.

სწავლის საფასური დაუფინანსდა 32 სტუდენტს.

დახმარება გაეწია 98 მრავალშვილიან ოჯახს და 141 ახალშობილს. დედამით ობოლ 20 ბავშვს გაეწია ფინანსური დახმარება.

2015-16 წლებში დატვირთული გახლდათ მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრება. სამტრედიამ უმასპინძლა "ეტალონის" შესარჩევ ტურს. ჩატარდა ინტელექტუალური შეჯიბრი "რა? სად? როდის?". სამტრედიას მონო სპექტაკლით სტუმრობდა ცნობილი მსახიობი მურმან ჯინორია. გაიმართა ვაჟა აზარაშვილის საიუბილეო საღამო. სამტრედიელებმა მოუსმინეს კამერული მუსიკის კონცერტს კრისტოფ მაიერის დირიჟორობით. დაჯილდოვდნენ გამოჩენილი სამტრედიელი სპორტსმენები, სამედიცინო, საგანმანათლებლო და სხვა სფეროების წარმომადგენლები. გაიმართა არაერთი სპორტული შეჯიბრება. მასშტაბურად აღინიშნა სხვადასხვა საერო დღესასწაული. გაიმართა დასუფთავებისა და გამწვანების აქციები.

გაიხსნა ჩქაროსნული ავტომაგისტრალის 11 კილომეტრიანი მონაკვეთი.

გარდა ამისა, კერძო ინვესტორების მიერ გაიხსნა უახლესი ტექნოლოგიის ნევროლოგიისა და ჰემოდიალიზის ცენტრი, დაბა კულაშში სამკერვალო საწარმო. მისი საინვესტიციო ფასი 1 მილიონი ევროა და 150 ადამიანია დასაქმებული. ფუნქციონირება დაიწყო სასათბურე მეურნეობა "იმერეთი გრინერმა".

იმ ინტერვიუსგან განსხვავებით, "სამტრედიის მაცნეს" გარკვეული დროის წინ რომ მისცა, ვალერი ფოცხერიამ ამჯერად გადაწყვეტილად განაცხადა: "თუ წინააღმდეგი არ იქნებით და ამ

პროგრამების შესრულებას საკმარისად მიიჩნევთ, კიდევ ერთხელ გავბედავ და ვცდი ბედს გამგებლის თანამდებობაზე, მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებში!"

დარბაზმა თანხმობა ტაშით გამოხატა. გამგებელმა კი სიტყვა გუბერნიიდან სპეციალურად ამ შეხვედრისთვის სტუმრად ჩამოსულ გუბერნატორის მოადგილეს, პაატა ნადირაძეს გადასცა. "იმ წელიწადნახევრის მანძილზე, რაც იმერეთის გუბერნიაში ვმუშაობ, არაერთი კარგი პროექტი განხორციელდა. . სამტრედიას ამ "იმერულ მიღწევებში" ყველა ჯერზე მნიშვნელოვანი სიტყვა აქვს ნათქვამი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი გამგებელი ვალერი ფოცხვერია საუკეთესო რაიონის საუკეთესო გამგებელია." _ ეს მისეული შეფასებაა იმ დარბაზში გაკეთებული, სადაც იმერეთის რეგიონის თითქმის ყველა რაიონის გამგებელი იჯდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ საკუთარი მოსაზრება პარლამენტარმა გია მიქელაძემაც დაიფიქსირა, რომელიც მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მაცრი შეფასებებით და კრიტიკით გამოირჩევა: "ერთმნიშვნელოვნად ვამბობ, რომ გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ ძალიან ბევრი რამ გააკეთა. იქნებ საზოგადოება ამას ვერ ამჩნევს, თუმცა, ეს უდავოდ ასეა. და ისეთი რამეები გააკეთა, რაც 20-25 წლის განმავლობაში არ გაკეთებულა. მე პატივს ვცემ გამგებელს, რადგან იგი ძალიან სუფთა და კვალიფიციური ადამიანია. ჩვენ ხშირი საუბრები გვაქვს სამომავლოდ როგორ უნდა წარვმართოთ მუშაობა, რათა ხარვეზები ბოლომდე აღმოიფხვრას."

"ვისაუბრე იმ ყველაფერზე, რისი გაკეთებაც ამ ორი წლის განმავლობაში შევძელი. ვფიქრობ, თუ ბევრი არა, არც ცოტაა. არაერთი მასშტაბური სამუშაო ჩატარდა, მაგრამ გასაგებია, რომ ეს არ არის საკმარისი. დღეს იყო შეხვედრა საზოგადოების იმ ნაწილთან, მუნიციპალიტეტის პოლიტიკურ, კულტურულ და საგანმანათლებლო კურსს რომ განსაზღვრავს. ჩვენ ხშირად გვაყვედრიან, რომ პიარი არ გივარგათო. ამ შეხვედრით სწორედ გაპიარებას შევეცადეთ ჩვენი შრომისას, მაგრამ ესეც კარგი გაგებით!" _ აღნიშნა შეხვედრის დასრულების შემდეგ ვალერი ფოცხვერიამ, თუმცა, სანამ მედიასთან ამ კომენტარს გაკეთებდა, ჯერ ისევ კულტურის ცენტრის სცენაზე მდგომმა დიდი წარმატება _ საფეხბურთო კლუბის საქართველოს ჩემპიონობა მიულოცა მუნიციპალიტეტსაც და უშუალოდ კლუბსაც. მერე კი იმ თასთან, სამტრედიის "სამტრედიას" ჩემპიონობის დასტურად რომ ერგო, მსურველებთან ერთად ფოტოები გადაიღო.

მომავალი წელი უკეთესი იქნება, ვიდრე წინა წლები

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. ლხინი და ბარაქა შემოეტანოს მას არა მარტო სამტრედიელების, ყველა ქართულ ოჯახში. მინდა ვისურვო, თან დაგარწმუნოთ იმაში, რომ მომავალი წელი გასულზე უკეთესი იქნება. ვთვლი, ახლაც არაფერი ხდება განსაკუთრებული, უბრალოდ, ჟურნალისტები ართულებენ მდგომარეობას. პრობლემები რომ არის, არ უარვყოფ, მაგრამ საახალწლოდ ყოველთვის იმატებდა ფასები, ამაში გასაკვირი არაფერია.

ის, რაც ქვეყანაში ხდება, არა ხელისუფლების, გარე ფაქტორების გავლენის "დამსახურებაა". პრობლემებს რა დალევს და პრობლემებია ყველგან, უბრალოდ, სადაც არ ვართ, კარგი გვგონია.

ახალ წელს ყოველთვის ოჯახის წევრებთან ერთად ვხვდებოდი და წელსაც ასე იქნება. თოვლის ბაბუის ბავშვობაში მჯეროდა და გულისფანცქალით ველოდებოდი. დღესაც მჯეროდეს მინდა, მეოცნებე კაცი ვარ და, რატომაც არა, ვიყოთ ბავშვები ცოტა ხნით ...

მინდა სიკეთე და სიხარული მოეტანოს თოვლის პაპას განურჩევლად ყველასათვის.

არც თოვლის ბაბუა ვყოფილვარ არასდროს და არც მეკვლე, მაგრამ არა მგონია ცუდი ფეხი მქონდეს. ბოროტი ადამიანი არ გამოდგება მეკვლედ, თორემ... ხვავი და სიკეთე შემეტანოს ყველას ოჯახში, სადაც მეკვლეობა მომიწევს.

ვალერი ფოცხვერია
მუნიციპალიტეტის გამგებელი

რა სარგებლობა მოაქვს მამალს?!

თეა ბაბუნაშვილი

სწორი პასუხი მორცხვად აწეული ორი თითით ითქვა. მერე ყურის აწევას ვინ დააჯერა, არადა თავიდან გაუხარდა მასწავლებელს, თქვი, მთელი წელი არაფერი გითქვამსო. თქვა და ისეთი... დიდუჰ! ასეა ყოველთვის, სიმართლის მთქმელს დიდუ... და იქვე შეკაზმული ცხენი!

არადა, რა სარგებლობა მოაქვს მამალს, გარდა იმისა, რომ გვაძლევს ხორცს, ბუნდღას...

კიდევ?

კიდევ... ნუ დაიბნევით, დიახ, მასეა...!

ჯერ ისევ არმოსული ეს ახალი წელიწადი, სიძნელეებით, ასტროლოგიური სიჩქარით გაქცეულ-ჩამორჩენილი ლარ-დოლარით, დღითიდღე მფრინავი ფასებით, ისედაც უმუშევარ ქვეყანაში უსამუშაოდ დარჩენის მოლოდინით, დამშევით, გამდიდრებული ბანკებისა და გაღარიბე... არა, გაღატაკებით აბრიალებს თვალებს. დარწმუნებით გეტყვით, ამასაც ჟურნალისტების ატეხილ აჟიოტაჟად ჩაუთვლიან ქართულ პრესას და ჟურნალისტიკას აქ, ადგილზეც და სხვაგანაც ქვეყანაში. არადა, ბაზარში ხალხი ხალვათად დადისო, ცხელი ამბავი შემოგვიტანა წინასაახალწლო დღეებში ყველის, და არა მხოლოდ ყველის, ფასით მამლივით აწითლებულმა თანამშრომელმა.

ტენდენცია მოდაშიც და ქვეყანაშიც წითელია. პოლიტიკა გამონაკლისი როგორ იქნება! აქაც აწითლებს გარე თუ შიგა ფაქტორები. ვინ რას გეტყვით გასახარელს, ამდენი და ასეთი რიტორიკით დაღლილ სამშობლოში.

როგორც არასდროს, ახლაც არაფერს გვეკითხება, ისე მოდის ახალი წელი. დროის სვლას წინ ვინ დაუდგება, მაგრამ თუ გვეახალწლება სუფრასა და განწყობაზე, ესაა საქმე! იმედი ყველაზე გვიან კვდება და მისი თავიც ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!

მოდი, ვნახოთ იმედი...

მიველ ვნახე იმედი და მგონი მასაც შეპარვია უიმედობა!

არ ჩაგვცხოსო, კომბლეს გათლილი კომბლისა შეეშინდათ თუ ნაცარქექიას სადგისის, ათვალწუნება მათაც დაუწყეს. ზღაპარი ზღაპრად დარჩეს და, სინამდვილე ზღაპრად დასაწერი ნუ გაგვიხდება კეთილი დასასრულით თავის დასაიმედებლად.

ვერ გეტყვით, მხოლოდ საქართველოში ისმება მარადსაკამათოდ დარჩენილი კითხვა, კვერცხი უფრო ადრე გაჩნდა, თუ ქათამი, თუ სხვაგანაც. მაგრამ კითხვა, რა სარგებლობას გვაძლევს მამალი? უკვე პასუხგაცემულია. ჩვენ ვერიდებით ამ პასუხის დაწერას, თორემ სწორედ მაგ საქმეზეა გადასული გაევროპელებას ამ გზით ადევნებული ქვეყანა.

ქოთანს რომ ორი ყური აქვს, ქართველებზე უკეთ ვინ იცის. და კიდევ კარგი, რომ ორი ყური აქვს, საიდანაც მოგვეხერხება იქეთ გამოსაბმელად.

ახალი წელი მოდის და ქოთნის ყურიც საახალწლოდ მოვრთოთ. მთავარია, სარგებლობა მოაქვს მამალს. "გამთენიისას დაიყივლეს მამლებმა ერთხმად და გაიბზარა გათოშილი ცისკრის ვარსკვლავი..." მზეს და განთიადს პირველი ეგებება თვალებბრიალა, ცეცხლოვანი, ოქროსდეზებიანი წითელი მამალი! მერე დღე იწყება, ახალი დღე, შრომისა და შენებისთვის, ბრძოლისა და გამარჯვებისთვის. დღე იწყება ეკალში ობლად ამოსული ვარდის დასანახად. ახალი წელიც ასე შემოაქვს ოქროსდეზებიანს, თვალებბრიალას, ხურჯინში ხვავი და ბარაქა, სიყვარული და ურთიერთპატივისცემა, იმედი, გულწრფელობა, ბედნიერების სიმრავლე უწყვია, ბეღელში პური და ქვევრში ღვინო ეგულება. "ვაზის ძირში დარწეული აკვანი" ეიმედება, "სალამურის საამური კვნესა" ართობს და ხალხში რუსთაველის ლექსად ნათქვამ გმირობის და უკვდავების ზღაპარზე ზრდის შთამომავლობას. ამიერიდან კი, ფეტვივით კენკავს ყველაფერ კარგს და პოზიტიურს ახალ წელიწადზე დასაბედებლად.

თურმე რამდენი სარგებელი მოაქვს მამალს, ამიტომ შეპხარის განთიადს და ამიტომ გვიქადის სიკეთის, სიხარულის, აღორძინების წელიწადს, წითლად აბრიალებულს და ოქროსფრად შემოსილს, მზესავით ბრდღვიალას.

ყველაფერი დაგებედოთ, რაც ამ წერილში კეთილი სურვილებია! ცუდი ცუდს გაჰყოლოდეს, მაიმუნივით გაპარულიყოს. ადამიანის გამაიმუნებას ნუ მოგვასწროს ღმერთმა თორემ... მისი წყალობით ყველა მუქი ფერი განათდება და ღვთისმშობლის წილხვედრი, მალე გაბრწყინდება ჩვენი საქართველო!

სარგებელი მეტი მოაქვს თურმე მამალს!

დაიყივლა და ...

კიდევ ერთი წელი ჩამოფურცლა ბედის ბორბალმა.

დაუპატიჟებელი სტუმარი ვიქნები

ვულოცავ ყველას, მთელს საქართველოს, მთელს სამტრედიას შობა-ახალი წლის შემობრძანებას. ვულოცავ მათ, ვინც ამირჩია, ვინც არ ამირჩია. სიხარული, ჯანმრთელობა და ბედნიერება მოეტანოს ამ წელიწადს. რაც შეეხება დაპირებებს, სიტყვას რომ საქმით დავამტკიცებ, ამაში სამტრედიელები თავად დარწმუნდებიან. უკვე ვაანონსებ, ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან მოლაპარაკების შედეგად, გადაწყდა, რომ სამტრედიისთვის უდიდესი პრობლემა, წყლისა და კანალიზაციის მიწისქვეშა კომუნიკაციების საკითხი მომავალი წლიდან მოგვარდება. მილიონ ლარზე მეტი ჯდება ეს პროექტი. 2017 წლის ბოლო კვარტალში უშუალოდ სამუშაოები დაიწყება. მხოლოდ ამით, რა თქმა უნდა, არ შემოვიფარგლები. ეს ერთ-ერთი იქნება. მე ამომრჩეველს დავპირდი, დაუპატიჟებელი სტუმარი ვიქნები_თქო. ასე, რომ, ვის როდის "მოველანდები", არავინ იცის. ვერავის და არავის ვაპატიებ უპასუხისმგებლობას. გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს და რაც მთავარია, ხარისხიანად უნდა გაკეთდეს.

გია ჯიქელავე
სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი



რა გითხრათ, რით გაგახაროთ? მოაიყალ ახალ წელს!

ლევან გაბეჩავა

კიდევ ერთი წელი გახდა ისტორიის კუთვნილება, რომელიც მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური, კულტურული მოვლენებით იყო აღსავსე.

ღვინის დაყენების ქართული წესის, ქართული დამწერლობისა და საქართველოს უძველესი დედაქალაქის, მცხეთის საყოველთაო აღიარება "იუნესკოს" მიერ ჩვენს უძველეს სახელმწიფოებრიობაზე, კულტურაზე, იდენტობაზე მეტყველებს და თითოეულ ქართველში კანონიერი სიამაყის გრძნობას აღძრავს.

არანაკლებ სასიამოვნოა, რომ 2016 წელი ისევ და ისევ "იუნესკომ" შოთა რუსთაველის, "ვეფხისტყაოსნის" წლად გამოაცხადა, რაც მართალია ჯეროვნად ვერ აღვნიშნეთ საქართველოში, მაგრამ რუსთაველის მარად ელვარე გენიისადმი გულგრილობას ვერავის ვერ, არ დავწამებთ.

ყველასა და ყველაფრის პოლიტიზირებითაა გამოწვეული ყოველივე.

წლის (2016) მთავარ პოლიტიკურ მოვლენად შემოდგომაზე ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებია მიჩნეული.

სასიამოვნოა, (როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები, დამკვირვებლები აღნიშნავენ) რომ ყველაფერი კანონიერების ფარგლებში ჩატარდა, წარიმართა. თუმცა, იყო რიგი ექსცესებისა რაც მომავალში უეჭველადაა გასათვალისწინებელი.

მმართველმა გუნდმა მმართველობის მეორე ოთხწლეულის ათვლა დაიწყო.

საქართველოში ახალი პოლიტიკური ფაზის დაწყება გაჟღერდა.

არა იმდენი, რამდენიც 2012 წელს, მაგრამ იყო, არის რიგი დაპირებებისა, რომელთა განხორციელებასაც ერისა და ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

2016 წლის მნიშვნელოვან მოვლენათა შეფასებებისას ვერა და ვერ ავუვლით გვერდს ეროვნული ვალუტის კატასტროფულ ვარდნას, რომელმაც საგონებელსა და უსასოობაში ჩააგდო ხალხი, თავსატეხი გაუჩინა ქვეყნის ფინანსურ (და არა მარტო) გუნდს, ქვეყნის პირველ პირებსაც.

არ გვინდა ვინმეს ვაწყენინოთ საახალწლოდ, თუმცა უთქმელობაც არ იქნება, რომ ხალხს, ჩვენ, ლარის გამყარება გვაინტერესებს და არა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას აკეთებს ფინანსური გუნდი ლარის გასამყარებლად, ვისი, რისი ბრალია ყოველივე და ა. შ.

არც ისაა საშველი იპოთეკით დატვირთული მოსახლეობისათვის, რომ მეზობელ სახელმწიფოებშიც ანალოგიური (?!) ვითარებაა.

ისე ნამდვილად არ გვეგონა კიდევ ქამრების შემოჭერა თუ იქნებოდა საჭირო, ბოლოსდაბოლოს როდემდე, რამდენჯერ შემოვიჭიროთ ეს ქამრები?

რაც შეეხება ლარის კურსის ვარდნა და მით გამოწვეული პრობლემები, როგორც საერთოდ ქვეყნისთვის, ჩვენი მუნიციპალიტეტისთვისაც, სამტრედიელებისთვისაც საფიქრალთ საფიქრალი შეიქმნა, მაგრამ არის საკითხები, რომელთა გადაჭრამ სამტრედიელთა კმაყოფილება, მოწონება დაიმსახურა.

რამდენიმე მათგანს გამოვყოფთ მხოლოდ.

უდავოდ კარგია და მისასალმებელია, რომ ევროპული სტანდარტების დონეზე მოწესრიგდა და კეთილმოეწყო რიგი შიდასაქალაქო და შიდასასოფლო გზები.

"სამტრედიიდან ხონისაკენ მიმავალი გზა ფელამუშიან ქვაბს მოგაგონებთ. გზებზე ისეთი ტალახია ურემს უჭირს ხონში "იარმურკზე" _ (ბაზრობაზე) ხალხისა და ხორაგის გადაყვანა". წერდა გასული საუკუნის კვირაკაძეზე ადგილობრივი კორესპონდენტი.

ამჟამად კი, ამჟამად ხონი-სამტრედიის გზა ისეთი მოწყობილია და განახლებულია, რომ თავი შუაგულ ევროპაში გეგონებათ.

უდავოდ მისასალმებელია მდინარე ხევისწყალზე 33 მეტრიანი ერთიანი, მონოლითური ხიდის გაკეთება, რომლითაც ათწლეულების მანძილზე გადაუჭრელი პრობლემა მოგვარდა არა მარტო ტოლებლებისათვის, ახლო-მახლო სოფლებისა და თავისთავად მუნიციპალიტეტისათვის.

კოპიტნარის აეროპორტის, ასე ვთქვათ, ახალი სიცოცხლეც მნიშვნელოვან, კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობაზე.

მართალია, ჯერ, არჩევნებიდან მხოლოდ ორი თვის შემდეგ მუნიციპალიტეტში სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით არანაირი სიახლე არაა, (არც ველოდით დროის ამ მცირე მონაკვეთში, ლ.გ.) მაგრამ იმედის მომცემია სამტრედიელი მაჟორიტარის, პარლამენტის წევრის გრიგოლ მიქელაძის არგუმენტებით გაჯერებული გამოსვლები პარლამენტის სხდომებზე, რომელიც სამტრედიელების წინაშე არსებული პრობლემების უსწრაფესად მოგვარების სურვილითაა ნასაზრდოები.

აღნიშვნის ღირსია რესპუბლიკის ქუჩის დასაწყისში დეკორატიული კედლის განახლება და შინმოუსვლელი ჯარისკაცის დედის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა იმგვარად, რომ იქ შესაძლებელი გახდეს მეორე მსოფლიო ომში, აფხაზეთში, სამაჩაბლოში, სამოქალაქო ომში დაღუპულ ღირსეულ სამტრედიელთათვის პატივგების საღამოებისა და შესაბამისი ღონისძიებების გამართვა, რაც ხელს შეუწყობს მომავალი თაობების ინტელექტუალურ-შემეცნებით განვითარებას, მათ აღზრდას პატრიოტული სულისკვეთებით.

2016 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველაზე მაღალი მთისთვის ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მესაძირკვლის, ქართულ ენათმეცნიერებათა პატრიარქის, აკადემიკოს აკაკი გაბრიელის ძე შანიძის სახელის მინიჭება, ტელეფისის უძველესი ციხის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის კუთხით ჩატარებული ფართომასშტაბიანი ღონისძიება, სოფელ დიდ ჯიხაიშში, დიდი ერისკაცის, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის რესტავრაცია და რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები უდავოდ მისასალმებელია და უკეთესი ხვალის იმედს გვაძლევს.

...

საცაა კარს შემოაღებს ახალი 2017 წელი!

ქართველთა საყვარელი პოეტის, გიორგი ლეონიძისეული სიტყვებით გვსურს ჩვენს მკითხველს ახალი წელი მივულოცოთ.

"ჩემო სამშობლოვ! გიმრავლოს აკვნის ფიცრები.

გიცოცხლოს სამარგალიტო ყმაწვილები.

გიცოცხლოს დანუკრებული, თვალგაშერა, იისთვალა ქალიშვილები, ნარჩევი ლამაზები, თვალცეცხლი, ტალიკი ბიჭები.

გიმრავლოს და გიბედნიეროს!

გიცოცხლოს ფუძე და კერა, ადგილის დედა, ტკბილი ქართული "დედაენა".

გიცოცხლოს ვაზის დედა, ყანის მზეკაბანი, სულ თავს დაგნათოდეს გამარჯვების მზე.

სულ ჰყვაოდეს შენი სიჭაბუკე, შენი მტევნებდასხმული ვაზი.

გიცოცხლოს მეკვლე,
მეჭაშნიკე,
მახარობელი,
მოერთჯამე,
ძმა და მეგობარი.

სულ სადღეგრძელოდ ყოფილიყოს ავსებული მამულ-პაპეული ჯამი.

ქართველო ერო, იყავ ღონეძლიერი, ლაღი...

თაფლის სიტკბოთი შეგერგოს ახალი წელი.

გამარჯვებასა,
მზეგრძელობასა,
სიყვარულსა და სიხარულში".

მრავალ ახალ წელს!

სულიერი სიმშვიდე მოეტანოს ახალ წელს!

ახალ წელს ვულოცავ საქართველოს და სრულიად სამტრედიას. ყველას ჯანმრთელობა და ბედნიერება დაგბედებოდეთ ჩემო ძვირფასებო! უპირველეს ყოვლისა, სულიერი ჯანმრთელობა და სიმშვიდე არ მოგკლებოდეთ, რადგან ადამიანი სულიერად ჯანმრთელი და მშვიდია, როცა ყველაფერი წესრიგში აქვს.

რაც შეეხება 2017-ს, ვერ მოგატყუებთ, რომ ადვილი წელი იქნება, იქნება სირთულეები, მაგრამ არა დაუძლეველი. საბოლოოდ ყველაფრის მოწესრიგების იმედი მაქვს. სირთულეების დაძლევას თავისი ხიბლიც აქვს. შეგვძლებოდეს საქმიანი კამათით, მაგრამ ჭირსა და ლხინში ერთად დგომით ქვეყნისათვის, მუნიციპალიტეტისთვის, ჩვენი ოჯახების, მეგობრებისა და მოკეთეებისთვის კარგის კეთება და პრობლემების დაძლევა, ერთგვარი აზარტი გვქონოდეს მეტი სირთულის უკეთესად მოგვარებისა.

ახალი წელი საოჯახო დღესასწაულად მიმაჩნია და ჩემი ოჯახი ყველა იმ ტრადიციას იცავს, რაც წინაპრებიდან მოგვყვება. თოვლის ბაბუის არსებობის რომ მჯეროდა, ის დრო საუკეთესო იყო ჩემს ცხოვრებაში. ახლა? ახლა საკუთარი ოჯახის თოვლის ბაბუა, რა თქმა უნდა, თავად ვარ, ოღონდ მარხილის და გრძელი წვერის გარეშე. ისე, ბავშვობაში ბაღსა და სკოლაში, მახსოვს, "ნამდვილი" თოვლის პაპაც ვიყავი. ახლა? ახლა ნეტა მშვიდობას და სულიერ სიმშვიდეს მაჩუქებდეს და გვაჩუქებდეს ყველას თოვლის ბაბუა!

გილოცავთ საუკეთესო სურვილებით

დავით ბახტაძე
გაგგეგლის პირველი მოადგილე

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

დიდი სიყვარულით, სითბოთი ვულოცავ სამტრედიას და სამტრედიელებს ახალი 2017 წლის დადგომას. ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ყველა ჩვენგანის ოჯახებისთვის. საქართველოში დღეს ყველაზე დიდი პრობლემა დასაქმებაა. ეს ქმნის ამ მძიმე სოციალურ ფონს. ჩვენს მთავრობას ვუსურვებ ეს პრობლემა ღირსეულად გადაეჭრას. მე მრეწველობიდან მოსული ადამიანი ვარ, დღესაც ვხელმძღვანელობ სამტრედიაში მრეწველთა პარტიას. სლოგანი, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" თავის დროზეც აქტუალური იყოს და ახლაც ასეა. მინდა მან აქტუალობა დაკარგოს და ამუშავებული ფაბრიკა-ქარხნების, საწარმოების ფონზე ჩვეულებრივი მოვლენა გახდეს საქართველოში განვითარებული და აღორძინებული მრეწველობის მოტანილი სიკეთე. დოვლათი ქვეყანაში უნდა იქმნებოდეს და არა საშინაო თუ საგარეო დავალებების "დაწერით" უნდა მოიპოვებოდეს. მაშინ ერიც და ბერიც წელში გამართული შეხედავს ცხოვრებას. არ შეიძლება სახელმწიფო ტრანსფერზე დამოკიდებული იყოს.

ბევრი ახალი წელი გაეცვითოს ჩვენს ქვეყანას მხიარულად და ხალისიანად. ბავშვობიდან ძალიან ტკბილად ვიგონებ ჩემი დიდი და ტრადიციული ოჯახის საახალწლო ღამეებს. ერთად ვხვდებოდით სიტკბოთი და მხიარულებით. თოვლის ბაბუასაც მოჰქონდა საჩუქრები, ოღონდ ქალაქის მოედანზე ან პიონერთა სახლში, სადაც ახალგაზრდები ვიკრიბებოდით. მას მერე ბევრი წელი გავიდა. ახლა მარტო ვცხოვრობ და აღარ ვამზადებ საკუთარი თავისთვის საცივსა და გოზინაყს. ფეხი? მეკვლეობა ბევრჯერ მომიწია და როგორც მეუბნებიან, ძალიან კარგი ფეხი მაქვს. თუ ასეა და ჩემი სიყვარული და პატივისცემა დაგებედოთ.

ლიზა კრავეიშვილი
გაგგეგლის მოადგილე

გრიგოლ მიქელაძე კომისიის შექმნას ითხოვს

თბილისში იყო, როცა ფოტოები გაუგზავნეს. ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული კორპუსებიდან ძირს ჩამოცვენილ სახურავებს როგორც კი დახედა, მიხვდა, მშენებლების გულგრილობასთან და უპასუხისმგებლობასთან ჰქონდა საქმე. გრიგოლ მიქელაძეს ეჭვი არ ეპარება, ბოლო ათწლეულში შესრულებული სამუშაოები უხარისხოდ ჩატარდა.

იგივე სურათი დახვდა მე-12 საჯარო სკოლაშიც. საუკუნეზე მეტი ხნის სასწავლო დაწესებულებას ის, რაც სხვა წლებში არ დამართნია, 2016 წლის შემოდგომაზე დაემართა. ჯერ 21 ნოემბერს ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა სახურავი გადახადა, 10 და 11 დეკემბრის კოისპირულმა წვიმამ კი შენობა ჩარეცხა. მე-12 საჯარო სკოლის დირექტორი, ხათუნა თელია, საქართველოს პარლამენტის წევრს საკლასო ოთახებში შეუძღვა. აჩვენა კაბინეტი, რომელიც სკოლის ბიუჯეტიდან სულ ახლო წარსულში გარემონტდა, ქარმა და კოისპირულმა წვიმამ კი ასეთ მდგომარეობაში ჩააგდო.

სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი კონკრეტულ შემთხვევას მშენებლების უპასუხისმგებლობითა და ნაკლები კვალიფიციით ხსნის, ითხოვს კომისიის შექმნას, რომელიც დამნაშავეს გამოავლენს და სათანადო პასუხს გასცემს. ზარალში დამნაშავე რომ სამუშაოს შემსრულებელია, მიქელაძეს ეჭვიც არ ეპარება, რადგან ძლიერმა ქარმა მიანცდამაინც ახლად გადახურული ბინები გამოარჩია და ძველ გადახურვებს ვერაფერი დააკლო.

ნინო ნანიტაშვილი

მომავალ წელს აქ ყველაფერი ლამაზი იქნება

"შეგპირდით და მოვედი" _ ამ სიტყვებით მიმართა რამდენიმე დღის წინ 25-ე საბავშვო ბაღის მმართველსა და პედაგოგებს გრიგოლ მიქელაძემ და მათთან ერთად შენობის დათვალიერებას შეუდგა.

ლაშა თევზაძის, ყოფილი გამარჯვების ქუჩის ბოლოში მდებარე საბავშვო ბაღი, იყო წლები, აღსაზრდელებს ვერ იტევდა. საკმაოდ მოზრდილი შენობა რკინიგზის დაქვემდებარებაში გახლდათ და რკინიგზელი მშობლების შვილების აღზრდაში დიდ როლს თამაშობდა.

რკინიგზამ სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულებები თანდათან ჩამოიშორა და ამ ბაღშიც აღზრდა ფასიანი გახდა. მართალია, დღეს ამ დაწესებულებას პროფილი შენარჩუნებული აქვს და 40-მდე აღსაზრდელიც ჰყავს, მაგრამ, რომ არ იყოს გადასახადი საბავშვო ბაღში, უფრო მეტი ეყოლობოდათ.

25-ე საბავშვო ბაღში გრიგოლ მიქელაძის სტუმრობას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მაჟორიტარი დეპუტატი მასპინძლებს დაპირდა, მიაღწევს იმას, რომ შენობა მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცეს და ისევე დაფინანსდეს, როგორც სხვა დანარჩენი საბავშვო ბაღები, პატარების აღზრდა გახდეს უფასო. რაც შეეხება რემონტს, გრიგოლ მიქელაძემ ეს უკანასკნელი საკუთარ თავზე აიღო.

საქართველოს პარლამენტის წევრმა მოიკითხა და შევიდა პატარების ოთახში, მიუალერსა თითოეულ მათგანს და საბავშვო ბაღის აღსაზრდელების წინაშე დადო პირობა, ყველაფერს გააკეთებს მათი ბედნიერი მომავლისთვის და რომ მომავალ წელს ირგვლივ ყველაფერი ლამაზი იქნება. პატარებმა გულუხვ სტუმარს მადლიერების ნიშნად საახალწლო ლექსები წაუკითხეს და დღეგრძელობა უსურვეს.

ნინო ნანიტაშვილი

წლის ბოლოს შიდა მუხლობრივი ცვლილებები ააიპ-ებში

19 დეკემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. დღის წესრიგში 17 საკითხი იყო განხილული. საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, შალვა არზუმანიანმა, ააიპ-ებში შიდა მუხლობრივი ცვლილებებით კოლეგების ყურადღება მიიპყრო. ამ უკანასკნელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობამ მხარი დაუჭირა.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ სხდომის მონაწილეებს გააცნო მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ყოფილი "რესპუბლიკური პარტიის" და ახლანდელი ფრაქცია "სამტრედიელი რეფორმატორების" ახალი წევრის, კახა ქუთათელაძის პირადი განცხადება, რომლის საფუძველზეც იგი ითხოვს საკრებულოს ორ კომისიაში გაერთიანებას. ესენია: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიები. კახა ქუთათელაძე 19 დეკემბერს საკრებულოს გადაწყვეტილებით ამ ორი კომისიის წევრი გახდა.

ნინო ნანიტაშვილი

თუ ადამიანს იმედი აქვს, ყველა გაჭირვებას მოერევა

ფეხბედნიერი ყოფილიყოს შობა-ახალი წლის შემობრძანება ყველა ქართული ოჯახისთვის. გვინდა თუ არა, ახალი წელი მაინც ოჯახებიდან დაწყებული დღესასწაულია. სამშობლოსადმი ჩვენი სიყვარული ჩვენი ოჯახებიდან იწყება. ბედნიერების და სიკეთის, ხვავის და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს დამდეგი ახალი წელიწადი. თუ ადამიანს ხვალინდელი დღის იმედი აქვს, ყველა გაჭირვებას მოერევა. იმედი არ მოგვშლოდეს! კეთილი საქმეების კეთების წელი დამდგარიყოს. გულწრფელი გამარჯობით, გამარჯვება გულწრფელად გვესურვებიოს ერთმანეთისათვის.

ვულოცავ თქვენს გაზეთს და მის ყველა თანამშრომელს, კარგი ამბების მაცნე გამხდარიყავით სამტრედიისთვის, წარმატებები დაგბედებოდეთ და საქმის თქვენეული სიყვარული გაგძლიერებოდეთ.

ბავშვობიდან მახსოვს, რომ ჩემი ტრადიციული ოჯახი ყველა ტრადიციის დაცვით ეგებებოდა შობა-ახალ წელს. ახლაც ერთად შევიკრიბებით ოჯახის წევრები, ახლობლები. სხვადასხვა ასაკის ადამიანები ერთმანეთს დიდ სითბოს ვაჩუქებთ. თეატრალური ნიჭით დაჯილდოვებული არ გახლავართ და თოვლის ბაბუის როლიც არასდროს მომირგია. ბავშვობაში, რა თქმა უნდა, მჯეროდა მისი არსებობის. ჩემი შვილები უფრო ადრე მიხვდნენ ვინ იყო მათი თოვლის ბაბუა, ვიდრე მე. მეკვლეობას ყოველთვის ვერიდები, ისე გჯეროდეთ, კეთილი გულით გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, ამ და კიდევ ბევრ ახალ წელს.

ნუგზარ ჯაბური
საკრებულოს თავმჯდომარე

სადაც სიყვარული სუფევს, კეთილი ანგელოზი შედის

ზეიმობს ცა და ქვეყანა, ხარობს ღვთისმშობელი, რადგან ნეტარების საუფლოდან განდევნილი ადამის მოდგმა განღმრთობას იწყებს და ჩვენი დაცემული ბუნება სამეუფეო ღირსებით იმოსება. ბრწყინვალე შობის დღესასწაული გვიახლოვდება. სასურველია, მას თითოეული ჩვენთაგანი შეეგებოს განწმენდილი სულით და ღმერთთან მიახლოებული გულით, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარია ადამიანისთვის. სერაფიმ საროველი ამბობს: "მოიპოვეთ სიმშვიდე და თქვენს ირგვლივ ათასები ცხონდებიან." ღმერთმა შეგვაძლებინოს ყველა ქართველმა, ყველა სამტრედიელმა მოვიპოვოთ სიმშვიდე. ყველას გილოცავთ შობა-ახალი წლის დადგომას, ღვთის წყალობას და სულიერ სიმშვიდეს გისურვებთ.

მართალი გითხრათ, არ მახსოვს თოვლის ბაბუის მჯეროდა თუ არა. მეკვლე? იმ ოჯახში, სადაც კეთილი გული აქვთ და სიყვარული სუფევს, ყველა შემომსვლელს კეთილი ანგელოზი მოჰყვება, თუნდაც ცუდი გულით შემოვიდეს. მთავარი უფლის განგება და ღვთის წყალობაა. ვისურვებ, იგი არც ერთ ქართულ ოჯახს არ მოკლებოდეს ამ ახალ წელიწადს.

ჯუბა ძიძიგური
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ორთქლის გამოშვების შემდეგ ყველაფერმა ლაითად ჩაიარა

თეა ბაბუნაშვილი

წლის ბოლო სხდომა საკრებულოს დარბაზში ხალხმრავალი გახლდათ. სრული მობილიზაცია 2017 წლის ბიუჯეტის განხილვა-მიღების აუცილებლობით იყო განპირობებული. საკმაოდ გრძელი დღის წესრიგის ჩაკითხვისა და მიღების შემდეგ, ბადრი შენგელიამ სასიამოვნო ინფორმაცია ამცნო შეკრებილებს _ სამტრედიელი გიორგი ზაქარიაძე საქართველოს ჩემპიონი გახდა ჭიდაობა სამბოში. ტაში და მილოცვები დარბაზში საკრებულოს წევრის ამპლუაში მჯდომმა მამამ, ზურაბ ზაქარიაძემ მიიღო.

ტრიბუნა იმ სხდომის ბოლომდე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯომარის, შალვა არზუმანიანის "საკუთრება" გახდა. ყველა საკითხი ბიუჯეტსა და მის პარამეტრებს, სხვადასხვა ააიპ-ებსა და შპს-ებისთვის მის განაწილებას ეხებოდა.

ხმაური პირველივე საკითხის განხილვას მოჰყვა, რაც ოპოზიციას პოპულისტობაში ჩაეთვალა, ხელისუფლებას თავის მართლებაში. საკრებულოს წევრმა ავთანდილ სტურუამ კი განცხადებით, წინასწარ ვიცი რაც იქნება განხილვის თემა, რასაც არ ვეთანხმებიო, პროტესტის ნიშნად სხდომა დაწყებისთანავე დატოვა.

დარბაზში კი ისეთი ამბავი ატყდა, როგორიც არაერთხელ ატეხილა. ურთიერთბრალდებები პოზიცია-ოპოზიციას, უმრავლესობა-უმცირესობას შორის უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. წინასაარჩევნო დაპირებებს საუკეთესო წლებსა და სხვა სიკეთეებზე, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ახსენებდა "ქართულ ოცნებას" და პირიქით, პოლიტიკური წარსულის არაერთი არასახარბიელო ფრაგმენტით შემდგარ "კოლაჟს" ხელისუფლება უხსენებდა ყოფილებს.

შემცირებული ბიუჯეტის, ლარისა და დოლარის პაექრობის, თუმცა, უკვე რაღა პაექრობის, ამბები სხდომის მთავარი თემა გახლდათ. ოპოზიციის განცხადებას, რომ ბიუჯეტის შეკვეცა ძირითადად უბრალო თანამშრომლების ხელფასების კლების ხარჯზე მოხდა, ხელისუფლების მხრიდან, გაბერილი შტატებით სოკოებივით ამოსული შპს-ებისა და ააიპ-ების შექმნის ბრალდება შეხვდა. "წასულებზე ცუდს არ ამბობენ, მაგრამ მინდოდა აქ ყოფილიყო ბატონი ავთო სტურუა..." _ ასე დაიწყო ბადრი შენგელიამ საუბარი და გააგრძელა იმ ნაკლოვანებებსა და შეცდომებზე ხაზგასმით, წინა ხელისუფლებას რომ ჰქონდა. "ხომ არ გგონიათ საუბარი არ ვიცით?! თავს ძალიან განსწავლულებად ნუ წარმოაჩენთ..." მისი გამოსვლის ამგვარი დაბოლოება მამუკა ბიბილეიშვილის რეპლიკის გარეშე, რა თქმა უნდა, არ დარჩენილა: "აღმზრდელობით მუშაობას თავი დაანებეთ და საქმე გააკეთეთ. თქვენგან განსხვავებით აღზრდილები მოვედით ხელისუფლებაში და დანა-ჩანგლის ხმარებისთვის გადამზადება არ დავგჭირვებია." "ჩვენ ცუდი ხელისუფლება ვართ, თქვენი აშენებულ-აგუგუნებული ფაბრიკა-ქარხნები გავაჩერეთ, ხიდები, გზები დავანგრიეთ, დემოკრატიაზე არაფერს ვამბობ. დღეს გტკივათ გული იმ ხალხზე, გუშინ რომ აწვალებდით?" _ ცინიზმს მანანა სირბილაძის რეპლიკაში საკუთარი კვლავ მამუკა ბიბილეიშვილმა შეაშველა: "სიმართლე ერთხელ თქვით ქალბატონო მანანა და ის, რომ ჩვენი აშენებული დაანგრიეთ." გარდა იმისა, რომ სოციალური პროგრამების წარმატებით განხორციელებაზე ისაუბრა, გოგი ლეჟავამ ხაზი გაუსვა, რომ პარტიული ნიშნით უარი არავისთვის უთქვამთ დახმარებაზე. მისი რეპლიკას _ "იშლება ნაციონალური მოძრაობა"; კვლავ მამუკა ბიბილეიშვილის პასუხი _ "მაგის იმედი გქონდეთ თქვენ" _ მოჰყვა. გოგი ლეჟავამ მოკლედ მიმოიხილა სოციალურ საკითხთა კომისიის და საერთოდ, სოციალური სფეროს მუშაობის პარამეტრები და აღნიშნა: "იმედია, ჩემი და მამუკას შელაპარაკებაც ქვეყნის, ჩვენი სოფლის საკეთილდღეო იქნება. მჯერა, ორივეს ერთნაირად შეგვტკივა გული ჩვენს სოფელზეც, სამტრედიაზეც და ქვეყანაზეც, ასე ვართ ყველანი და ეს კამათი ამის საწინდარია." არც დათო ამაღლობელის "ომს ვერ წავაგებთ, რომ ამერიკამ დაგვაფინანსოს" დარჩენილა უპასუხოდ: "თქვენ ომს ვერც მოიგებთ, რომ წააგოთ!" _ პასუხი ერთობ ფილოსოფიურიც კი გახლდათ.

თქვეს ბევრი, თქვა ბევრმა. საქმე სტატისტიკის სამსახურიდან იმ მონაცემების ამოკრებამდეც კი მივიდა, თუ რამდენი ადამიანი ცხოვრობდა ოთხი წლის წინ და რამდენმა დატოვა სამტრედია ოთხ წელიწადში. ამასობაში, ზაზა ადეიშვილმა "ნაციონალები" არასწორი ციფრებით მანიპულირებაში გამოიჭირა.

ეს ხელისუფლებაც შეიცვლება და საერთოდ, ყველა ხელისუფლება უნდა შეიცვალოს! ოპოზიცია ბიუჯეტს მხარს არასდროს დაუჭერს. _ ამ დასკვნით "დაზავდა" საკრებულოს სხდომა და მერე, ანუ "ორთქლის გამოშვების შემდეგ" ყველაფერმა "ლაითად" ჩაიარა, უმცირესობა ხელს უარზე, უმრავლესობა კი, თანხმობაზე სწევდა. ბიუჯეტი, რა თქმა უნდა, მიიღეს.

სხდომას საფინანსო სამსახურის ხელძღვანელები ესწრებოდნენ. თუმცა, იმ დღეს კითხვებზე პასუხის გამცემი გამგებლის პირველი მოადგილე, დავით ბახტაძე გამოდგა. სხდომაზეც და სხდომის შემდეგაც ერთხმად აღინიშნა, რომ იგი ყველა საკითხში კომპეტენტური გახლდათ.

რაც შეეხება ბიუჯეტს, შპს-ებისა და ააიპ-ების სუფსიდიები მიმდინარე წლის საკასო შესრულების 90% _ ით განისაზღვრა. 2017 წლისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი საწყის ეტაპზე 9 მილიონ 387 700 ლარით დაიგეგმა. იგი 2014 წლიდან მოყოლებული სტაბილურად იზრდება. 8 მილიონ 633 ათასი ლარიდან მან 9 მილიონს გადააჭარბა. თუმცა, 2017 წელს 2016-თან შედარებით 556 ათასით ნაკლებია.

შემცირებები არ შეხებია ინფრასტრუქტურულ პროექტებს. პირიქით, ეს სფერო იმაზე მეტითაც არის დაგეგმილი, ვიდრე გასულ წლებში. ეს ციფრი 932 ათას 800 ლარია. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სფერო 1 მილიონ 86 ათას 200 ლარითაა დაგეგმილი. მათ შორის სოციალური პროგრამებისთვის 709 ათასი ლარია გათვალისწინებულიუ. "ნუ ვიტყვით, რომ ბიუჯეტი შემცირდა. იგი უფრო დაბალი მაჩვენებლით დაიგეგმა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერს მუქ ფერებში ვუყუროთ. კალენდარული წლის განმავლობაში ადვილი შესაძლებელია მისი მნიშვნელოვნად გაზრდა და წინა წლების ბიუჯეტები ამის არაერთ მაგალითს გვაძლევენ. მას თანდათან დაემატება სხვადასხვა პროექტების დაფინანსება. გარდა ამისა, იმედია, მატების საშუალებას საბიუჯეტო გარანტიების შესრულებაც მოგვცემს." _ ამბობს დავით ბახტაძე.

ოპოზიციის განცხადებას, რომ სითამაში ბიზნესიდან შემოსული თანხები შესაძლებლობას იძლეოდა ბიუჯეტი შემცირებული არ დაგეგმილიყო, გამგებლის პირველი მოადგილე პასუხობს: "მოსაკრებლის შესახებ კანონში ცვლილება პარლამენტმა მას შემდეგ მიიღო, რაც ჩვენ საფინანსო დოკუმენტი განსახილველად შეტანილი გვქონდა. ასეც რომ არ ყოფილიყო, წინასწარ ვერ განვსაზღვრავდით ბიუჯეტს მატებით, ვინაიდან ჩვენს მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთი იურიდიული პირია რეგისტრირებული ვისაც ამ გადასახადის გადახდა უწევს. დეკემბერში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება ჯერ არ გვაძლევს საშუალებას, რომ ბიუჯერტის ხარჯვითი ნაწილი გაზრდილი ციფრებით დავგეგმოთ. ამ შემოსავლების და სხვა საბიუჯეტო ვალდებულებების მიხედვით სავარაუდოდ პირველივე კვარტლის შემდეგ მოგვეცემა საშუალება განვსაზღვროთ სად რისი მატება შეგვიძლია."

რაც შეეხება შემცირების პროცესს, რომელმაც არა მხოლოდ სამტრედიელებს, არამედ მთელს ქვეყანას საფიქრალი გაუჩინა, დავით ბახტაძე აცხადებს: "არც ერთი ხელმძღვანელი არ იყო შეზღუდული საბიუჯეტო წელი დაეგეგმა საკუთარი შეხედულებისამებრ. მითითება არავის ჰქონია, მაინცადამაინც რომელიმე შტატი შეემცირებია. გადაწყვეტილებები ადგილზე, სამსახურებში იქნა მიღებული."

საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის დაგეგმვასთან მიმართებაში საკუთარი შენიშვნების შემდეგ, "სამტრედიელი რეფორმატორების" თავმჯდომარემ, იმედა გოგავამ ხაზი გაუსვა, რომ რეფორმა ააიპი-ებთან მიმართებაში აუცილებლად გასატარებელია: "რეფორმა არასდროსაა უმტკივნეულო. მეტიც, მას ყველაზე მახვილი კუთხით უნდა მივუდგეთ შედეგი რომ გამოიღოს!" მუნიციპალიტეტში ააიპი-ების სიმრავლეზე არაერთხელ ცენტრალური ხელისუფლებიდანაც იყო მითითება. არც დავით ბახტაძე უარყოფს, რომ "სამტრედიაში გაცილებით მეტი ააიპია, ვიდრე სხვაგან, მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ხალხი სულ ყველა სახლში უნდა წავიდეს. იმაში, რომ მონათესავე აიპიებ-ის შერწყმა უნდა მოხდეს, პოზიცია-ოპოზიცია ერთსულოვანია. მიმდინარე წელს სამეურნეო დარგის ორი ააიპ-ის შერწყმა შედარებით უმტკივნეულოდ მოხდა. ერთია, ამ პროცესის შემდეგ ყველა თანამდებობაზე ვერ დარჩება."

და კიდევ ერთი საკითხი, საკრებულოს ბოლო სხდომაზე განხილვის თემა რომ იყო, გულისტკივილი გახლდათ, რომელშიც ოპოზიციას ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარე ტარიელ დვალიშვილიც დაეთანხმა. იმედა გოგავამ ისაუბრა იმაზე, რომ უკვე საქართველოს ჩემპიონ სამტრედიის საფეხბურთო კლუბისთვის გამართულ საზეიმო შეხვედრაზე, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადარიცხული 10 ათასი ლარით დაფინანსდა, სასურველი იქნებოდა საზოგადოების, უბრალო სამტრედიელები უფრო დიდი ნაწილი ყოფილიყო წარმოდგენილი. იგი სხვა ვითარებაში გამართულიყო და მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, "ღონისძიება ღვინისძიებაში არ გადაზრდილიყო!" საკრებულოს წევრმა და ვეტერანმა ფეხბურთელმა ტარიელ დვალიშვილმა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დამსახურებას ხაზი გაუსვა გუნდის უმაღლეს ლიგაში გადასვლისას.

წლის ბოლო სხდომა, ურთიერთშელაპარაკებითა და ბრალდებებით დაწყებული, საახალწლო მილოცვითა და კეთილი სურვილებით დასრულდა.

გარდამავალი ბროლის ბუ გუნდმა "27 წლის უელსელი გარემარბი" მოიპოვა

ნათია ნაცვლიშვილი

24-25 დეკემბერს გაიმართა იოანე და თემურ ვაშაკიძეების სახელობის სამტრედიის მუნიციპალური მემორიალი ინტელექტუალურ თამაშებში. ამ მასშტაბურ და საინტერესო ღონისძიებას სასტუმრო "ცისკარმა" უმასპინძლა. ეს მემორიალი ინტელექტუალური ტურნირების გაგრძელება იყო, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში უკვე მეოთხედ გაიმართა. მასში სულ 22 გუნდი მონაწილეობდა, წარმოდგენილნი იყვნენ სხვადასხვა ორგანიზაციების, საჯარო სკოლების გუნდები. გვყავდნენ სტუმრები მეზობელი მუნიციპალიტეტებიდანაც: ხობის გუნდი, ბათუმის გუნდი, ვანი ორი გუნდით იყო წარმოდგენილი, რამდენიმე გუნდი გამოიყვანა ქუთაისმა, ითამაშეს წყალტუბოსა და ბაღდათის გუნდებმა. ჩემპიონატი 3 სახის ინტელექტუალურ თამაშში გაიმართა: "რა? სად? როდის?", "ჯეპარდი" და "ბრეინ რინგი". სასიამოვნო ფაქტია ისიც, რომ კითხვებს მსგავსი ტურნირებისათვის უკვე სამტრედიის ინტელექტკლუბ "ინტერსტელარის" პრეზიდენტი გიორგი ჩაჩუა და წევრები ამზადებენ. თამაშისათვის "რა? სად? როდის?" კითხვები გიორგი ჩაჩუამ, ლაშა ორმოცაძემ და ლევან ცირეკიძემ მოამზადეს, "ბრეინ რინგის" კითხვებზე ლევან ცირეკიძემ იმუშავა, "ჯეპარდის" კითხვები კი, ლაშა ორმოცაძესთან ერთად მე-3 სკოლის მეთორმეტეკლასელმა საბა კაცაძემ მოამზადა. ჟიურის შემადგენლობაში სერგი თევდორაძე, ლევან ცირეკიძე და ლაშა ორმოცაძე იყვნენ. კრუპიეს ამპლუა ტრადიციულად მოირგო გიორგი ჩაჩუამ.

გიორგი ჩაჩუა:" ყველამ ძალიან განვიცადეთ ტრაგედია, აგვისტოში ჩვენს ქალაქს და შეიძლება ითქვას, სრულიად საქართველოს რომ დაატყდა თავს. დაიღუპა ორი უჭკვიანესი ახალგაზრდა, ისინი ჩვენი გუნდის და კლუბის წევრები იყვნენ, გადავწყვიტეთ, ეს მემორიალი მათი სახელობისა ყოფილიყო და ამით ამ ახალგაზრდების ხსოვნა უკვდავგვეყო, მემორიალი ყოველწლიურად გაიმართება. ორმა დღემ ძალიან დაძაბულ და საინტერესო ვითარებაში ჩაიარა, გამოვავლინეთ გამარჯვებულები და პრიზიორები. ჩემპიონატის მაღალორგანიზებულად ჩატარებისათვის ინტელექტკლუბის სახელით მადლობა მინდა გადავუხადო მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერი ფოცხვერიას, სამტრედიის მაჟორიტარ დეპუტატ ვეა მიქელაძეს, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს, ნატალია მანჯგალაძეს და განსაკუთრებული მადლობა ამავე სამსახურის მთავარ სპეციალისტს, ლაშა ლორიას, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის მემორიალის ორგანიზებაში.

უკვე დავიწყეთ ფიქრი 2017 წლის ტურნირზე, გვინდა, მან მიიღოს უფრო მასშტაბური სახე, ჩავრთოთ სხვა ქალაქების გუნდებიც და სამომავლოდ იქნებ საერთაშორისო ტურნირის გამართვაზეც ვიფიქროთ. საამისოდ ინტერესი ნამდვილად დიდია. ეს კი, ახალ თაობაში წაგნიერების დონის ამაღლებას უწყობს ხელს, რასაც ყველა მივესალმებით."

ინდივიდუალურ თამაშში "ჯეპარდი" გამარჯვება მოიპოვა სამტრედიის ინტელექტკლუბის გამოცდილმა მოთამაშე ზაზა ადეიშვილმა, მეორე ადგილზე _ ბექა ზივზივაძე, მესამეზე _ ზურა კუბლაშვილი, მეოთხეზე _ დავით მანჯგალაძე გავიდნენ. "ბრეინ-რინგში" გაიმარჯვა სამტრედიის გუნდმა" კიორინრინი"(კაპიტანი ლაშა ლორია). მეორე ადგილზე გიგა ჩალიგავას "ჯერონიმო", მესამეზე კი, ხობის გუნდი "გოდო"(კაპიტანი ცოტნე გუჩუა) გავიდა. ხოლო თამაშში "რა? სად? როდის?" პირველობა ქუთათურთა გუნდს " 27 წლის უელსელი გარემარბი" (კაპიტანი ზურა კუბლაშვილი) ხვდა წილად. მეორე ადგილზე გავიდა "ჯერონიმო" (კაპიტანი გიგა ჩალიგავა), მესამეზე კი, ლაშა ლორიას "კიორინრინი". წლის მოაზროვნის ტიტული ლევან მჟავანაძემ დაიმსახურა. იოანე და თემურ ვაშაკიძეების მეგობრებმა დააწესეს გარდამავალი ბროლის ბუ, რომელიც გამარჯვებულმა გუნდმა "27 წლის უელსელი გარემარბი" მოიპოვა.

ნატალია მანჯგალაძე: "ტრადიცია მემორიალის გამართვისა უკვე დამკვიდრდა, დაწესდა გარდამავალი პრიზი, ამ საქმეში თანადგომისათვის მინდა მადლობა გადავუხადო მაჟორიტარ დეპუტატს, მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელიც არა მარტო ინტელექტუალური თამაშების ჩემპიონატის, არამედ, ყველა ახალგაზრდული პროექტის მხარდამჭერია, ინტელექტკლუბის პრეზიდენტს გიორგი ჩაჩუას, ასევე კლუბის წევრებს და ჩემი სამსახურის ყველა თანამშრომელს, ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ საქმეში".

„ჩვენ რუსთაველმა გვითხრა ყველაფერი გულითა შორის"

ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში უკვე მეორედ შეკრიბა ინტელექტუალი მსმენელი წმინდა მოწამე ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მოსწავლეთა ღია გაკვეთილმა შოთა რუსთაველზე. ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ნინო ტონიამ და მისმა შეგირდებმა საუკეთესო ტრადიცია დაამკვიდრეს. მეათე-მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა მაღალკადემიურ დონეზე, მრავალმხრივ მომოიხილეს რუსთაველის უნიკალური პოეტური ქმნილება. დარბაზში ამ სკოლის მოსწავლეთა, ზურაბ გერაძის, ლილე ადეიშვილის და გურამ ტალაბაძის მიერ "ვეფხისტყაოსნის" თემაზე შესრულებული ილუსტრაციებიც იყო გამოფენილი, რომელთაც პროფესიონალი მხატვრების დიდი მოწონება დაიმსახურეს.

ღონისძიება "სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელმა მდივანმა, ჩვენმა კოლეგამ ლევან გაბეჩავამ გახსნა და აღნიშნა: "2016 წელი იუნესკომ მსოფლიოში რუსთაველის წლად გამოაცხადა, "მწერლის გაზეთში" გამოქვეყნდა მწერალ რევაზ მიშველაძის წერილი, სადაც ის ქვეყნის ხელისუფლებას მიმართავდა, რომ რუსთაველის წელი საქართველოში უფრო მასშტაბურად უნდა აღნიშნულიყო. წლევანდელ წელს ისრაელსა და რუსეთშიც გრანდიოზულად აღნიშნულა ეს თარიღი, პეტერბურგში შოთას ძეგლი დაიდგა, რომლის ავტორიც ზურაბ წერეთელია. ჩვენ, რა თქმა უნდა, ურთიერთისაგან ვმიჯნავთ პუტინისა და პუშკინის რუსეთს. დღევანდელმა ღონისძიებამ კი ერთგვარად შეავსო ეს ვაკუუმი. უნდა ითქვას, ნინო ტონიას ოჯახი "ვეფხისტყაოსნის" პატარა ლაბორატორიაა. ბატონმა გოგი ტონიამ შესანიშნავი მეცნიერული გამოკვლევა უძღვნა რუსთაველის ქმნილებას."

ნინო ტონიამ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას ამ საინტერესო პროექტის განხორციელების საქმეში თანადგომის გამო და აღნიშნა: "ბიბლიოთეკა მუდმივად გამოხატავს მზადყოფნას, თავისი წვლილი შეიტანოს ახალგაზრდობისათვის საინტერესო პროექტების განხორციელებაში. ეს ამ ინსტიტუციის არსებითი საზრუნავია, წლებმა აჩვენა, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლები მოწამებრივი დვაწლის საფასურად ახორციელებენ ამ მისიას. ჩვენმა მოსწავლეებმა რარიტეტულ მასალად მიჩნეული 50 წლის და მეტი ხნის ლიტერატურა დაამუშავეს, სამსაუკუნოვანმა რუსთველოლოგიამ ვერ ამოწურა ამ პოემასთან დაკავშირებული საკითხები, მით უფრო ჩვენ არ გვაქვს ამბიცია, ვამტკიცოთ რამე, ჩვენი მცირედი დაკვირვება ვაწარმოეთ, გვინდა "ვეფხისტყაოსანში" რუსთველის მიერ მონიშნული მაქსიმები და ძირითადი კონცეპტები იქცნენ მათი ცხოვრების წესად."

თითოეულმა მოსწავლემ წარმოადგინა რეფერატი ამა თუ იმ საკითხზე, მოსწავლეებმა მიმოიხილეს ეპოქის კულტურულ-ეკონომიკური განვითარების დონე, ისაუბრეს იმ პერიოდის ფილოსოფოსებზე, გააჟღერეს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ რუსთაველის უკვდავი ქმნილება მხოლოდ თამარის ეპოქაში შეიძლებოდა შექმნილიყო. ისაუბრეს ცნობილ რუსთველოლოგებზე ალექსანდრე ბარამიძეზე, აკაკი შანიძეზე, ნიკო მარზე. პავლე ინგოროყვაზე, რომელმაც სამჯერ გამოსცა პოემის ტექსტი, შექმნა მრავალი საინტერესო ნაშრომი. მკვლევარ ვიქტორ ნოზაძეზე, რომელმაც სამშობლოს დაუტოვა 6 მონუმენტური ტომი "ვეფხისტყაოსნის" შესახებ. ექვთიმე თაყაიშვილზე, რომელმაც მოახდინა "ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერების სისტემატიზაცია. მისივე მოსაზრების თანახმად, თურმე ზოგმა სასულიერო პირმა "ვეფხისტყაოსანს" იმიტომ დაუწყო დევნა, რომ ამ წიგნს უფრო კითხულობდნენ, ვიდრე სასულიერო ნაწარმოებებს. ვახტანგ მეექვსეს უთქვამს, საღვთო წიგნზე მეტად საეროს კითხულობენო. ყველაზე გამმაფრებელი ბრძოლა კი, პოემას ანტონ კათალიკოსმა და ტიმოთე გაბაშვილმა გამოუცხადეს. ასევე ისაუბრეს "ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელებზე. პირველ ინგლისურენოვან მთარგმნელზე, მარჯორი უორდროპზე. მთელი რიგი ცნებატერმინები, რომლებიც პოემიდან გამოსჭვივის, საინტერესოდ მიმოიხილა საბა არაბიძემ, იმ დღესვე გამოითქვა აზრი, რომ მისი სახით რუსთაველს კიდევ ერთი მკვლევარი ეყოლება. "1937 წელს შალვა ნუცუბიძე დააპატიმრეს და ლუბიანკის ციხეში ჩასვეს, მოგვიანებით უთხრეს, ციხიდან იმ პირობით გაათავისუფლებდნენ, თუ წელიწად-ნახევარში რუსულად გადათარგმნიდა "ვეფხისტყაოსანს". იოსებ სტალინს უთქვამს, აქამდე პეტრენკოსეული თარგმანი მიმაჩნდა საუკეთესოდ, მაგრამ დავრწმუნდი, ნუცუბიძისეული უკეთესიაო."_ აღნიშნა საბა არაბიძემ.

მოსწავლეებმა ასევე ისაუბრეს იმ ხელოვან ადამიანებზე, ვინც ქვაში, ფერში თუ მუსიკაში აამეტყველეს ეს კონგენიალური ნაწარმოები. ნონო ტონიას საოჯახო არქივში მოძიებული, 1966 წელს, რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემული ალმანახიდან უამრავი საინტერესო მასალა გამოიყენეს და აუდიტორიას მისი ვიდეოვერსია გააცნეს. მართლმადიდებლური სკოლის დირექტორმა ნატალია კოპალეიშვილმა მადლობა გადაუხადა ნინო ტონიასა და მოსწავლეებს საინტერესო გაკვეთილისათვის და სცენაზე მეექვსეკლასელები მოიხმო, რომელთაც უკვდავი პოემის სტროფები რამდენიმე ენაზე შეგვახსენეს. ბიბლიოთეკასა და მართლმადიდებლურ სკოლას შორის თანამშრომლობის ისტორია გაიხსენა ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მზია ჩიხლაძემ და განაცხადა, რომ სკოლას მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკამ გახსნის დღიდან წიგნადი ფონდი გადასცა, დღეს უკვე სკოლის ბიბლიოთეკაში 9000 წიგნია.

ხატმწერმა დავით მორგოშიამ აღნიშნა: "მიხარია, რომ ბავშვები შესანიშნავად, ღრმად სწვდებიან "ვეფხისტყაოსანს", ყველა მათგანმა რაღაც ახალს მიაგნო. მადლობა ამ მშვენიერი შეხვედრისა ყველა მონაწილეს, იმედისმომცემი თაობა მოდის, კომპიუტერმა წიგნს მოსწყვიტა ახალგაზრდობა, მაგრამ კომპიუტერის მნიშვნელობა დიდია, სასულიერო პირებიც აქტიურად იყენებენ კომპიუტერს, რათა საკუთარი სიტყვა ამცნონ ხალხს. საკუთარი ფესვები უნდა გვიყვარდეს, ტკივილიც უნდა განვიცადოთ, საკუთარ სულში ჩაღრმავება და ცრემლთა ფრქვევა, უფრო ღრმად რომ ჩავწვდეთ ადამიანის სულს, "ვეფხისტყაოსანიც" ხომ ამას გვასწავლის."

წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი ანტონ ვაშაკიძე: "ვეფხისტყაოსნის ამ საიდუმლო ცისარტყელაში ჩვენი შეყვანა ნინო მასწავლებლის დიდი დამსახურებაა და თქვენი აქტიური ჩართულობის, "ვეფხისტყაოსანი" ქრისტიანული ნაწარმოებია, ქრისტიანული დოქტრინებითა და იდეებით შთაგონებული, იგი არის მულტიკულტურული ნაწარმოები, ეს აღიარა იუნესკომ და ამით გაცხადდა ყველაფერი. ეს არის მართლაც მარადიული წიგნი, თუ ბიბლია სიცოცხლის წიგნია, "ვეფხისტყაოსანი" არის აზროვნების წიგნი. სიცოცხლე აზროვნების გარეშე არაფერია, ეს არის აბსოლუტური გონის გამოსხივება. მადლობა ღმერთს, რომ განგებამ ხვედრად გვარგუნა, რუსთაველი ყოფილიყო ქართველი. შემთხვევითი არაა, რომ იერუსალიმში ჩვენი დიდი თანამემამულის ფრესკა მოთავსებულია მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის ფრესკებს შორის, ესენია პატრისტიკული ხანის ორი უდიდესი მნათობი, არსებობს ვარაუდი, რომ შოთა ამ ორი დიდი თეოლოგის უდიდეს გავლენას განიცდიდა. არ ვიცი რამდენად შესაძლებელია, "ვეფხისტყაოსანი" შეიტანონ უმაღლეს სასწავლებელში, როგორც აკადემიური დისციპლინა, სრულიად დამსახურებულად შეიძლება ქალბატონი ნინო მოიაზრებოდეს ამ სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთ წარმომადგენლად."

ვიცოცხ ლიტერატურის ოკეანეში

ლექსიკური ხურჯინი მხოლოდ წიგნით აივსება

ნათია ნაცვლიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ აჩქარებულმა ოცდამეერთე საუკუნემ წიგნის როლი მცირედ დააკნინა და ინდივიდუალობა განათლების მისაღებად წიგნის გადაფურცვლას კომპიუტერულ სივრცეში ხეტიალს ამჯობინებს, მიუხედავად იმისა, რომ მატერიამ იდეა დასჯაბნა და ყოველდღიური საზრუნავით გადაღლილი ქართველი წიგნის მაღაზიასაც ნაკლებად აკითხავს და ბიბლიოთეკასაც, მაინც რჩება წიგნი ცოდნის მიღების გაუხუნარ და შეუცვლელ საშუალებად. რუბრიკას "ვისაც ლიტერატურა უყვარს " სამტრედიის რაიონული პროკურორი, მალხაზ გეწაძე სტუმრობს. ის ჩვენი გაზეთის აქტიური მკითხველია, წიგნთან ურთიერთობა, როგორც აცხადებს, ბავშვობიდან მოყოლებული მისთვის ყველაზე საყვარელი საქმეა, ამდენად რუბრიკაში მონაწილეობას სიამოვნებით დასთანხმდა.

_ ვფიქრობთ, საზოგადოებას აინტერესებს, სხვადასხვა პროფესიის თანამდებობის პირები რამდენად ახლოს არიან წიგნთან, წიგნის მოყვარული ადამიანები ხომ საყოველთაო მოწონებას იმსახურებენ. წიგნისადმი, ამ ფენომენისადმი თქვენი დამოკიდებულება როგორია?

_ წიგნთან მეგობრობა ფანტასტიური რამ არის ნამდვილად, ბავშვობიდან მოყოლებული, წიგნის კითხვა იყო ჩემი საყვარელი საქმე, მაგრამ სამსახურეობრივი რეჟიმიდან გამომდინარე დროის პრობლემა მაქვს. ორხან პამუქის "უმანკოების მუზეუმს" თვენახევარია ვკითხულობ, მაშინ როცა ჩვეულებრივ რეჟიმში რამდენიმე დღეში წაიკითხავდა ადამიანი. სამწუხაროდ, ნაკლებად ვახერხებ მხატვრული ლიტერატურის კითხვას. იურიდიული ლიტერატურა ჩემი ყოველდღიური საკითხავია. მიუხედავად იმის, უდიდეს პატივს ვცემ მათემატიკას, განსაკუთრებით, გეომეტრიას, იურისპრუდენცია ამისაგან რადიკალურად განსხვავებულია: ორჯერ ორი არასოდეს არ არის ოთხი, ყოველთვის არის გაცილებით მეტი ან ნაკლები. კარგია, როცა ადამიანები წიგნთან მეგობრობენ, თუმცა როგორც ვთქვით, დროის დეფიციტი მაქვს, ამას გარდა, გვიწევს ინფორმაციის ელექტრონულ რეჟიმში გაცნობა. მიუხედავად იმისა, თქვენი გაზეთის აქტიური მკითხველი ვარ, ინფორმაციის გაცნობის ელექტრონული საშუალება უფრო მისაღებია.

_ ფეისბუკის გვერდზე ხშირად შემოიჭრება ხოლმე ნაწყვეტები ამა თუ იმ ბესტსელერიდან, ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ კომპიუტერს მიჯაჭვულ ადამიანს წიგნთან მისასვლელი დრო ნაკლებად რჩება, ხომ არ გადაყლაპავს ეს, კარგი გაგებით მონსტრი, კომპიუტერი, წიგნს?

_ გამიგია, რომ თუ მსახიობს სცენის მტვერი ჩაუყლაპავს, (მსახიობი არ ვყოფილვარ, მაგრამ როგორც სკოლის, ისე უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში აქტიური მანსანკანელი ვიყავი) მერე ამ საქმეს ველარ დაანებებს თავს. თუკი ადამიანი ერთხელ მაინც შეიგრძნობს წიგნთან ერთად დათენების ბედნიერებას, არა მგონია, წიგნს ხელი გაუშვას. თუმცა ასევე ძალიან პოპულარულია ელექტრონული წიგნი, "საბას" აქვს შესანიშნავი ელექტრონული ბიბლიოთეკა, უამრავი წიგნის ელექტრონულად ნახვაა ინტერნეტში შესაძლებელი.

_ შეიძლება ბანალური შეკითხვაა, მაგრამ ვინ არიან თქვენი საყვარელი მწერლები?

_ არ არის ბანალური, თუ ადამიანს გემოვნება, იდეალი, ცხოვრებისეული კრედო გაქვს, რომელსაც არასოდეს გადუხვევ, აუცილებლად გყავს საყვარელი მწერლები. ჩემთვის ყველაზე საყვარელი და ახლო მდგომი მწერალი ნოდარ დუმბაძეა. ასევე ძალიან მიყვარს კონსტანტინე გამსახურდია. თუმცა მიმაჩნია, მომავალ თაობას 13, 14, 15 წლის ბავშვებს ჯობს ჯერ ნოდარ დუმბაძე მიაწოდო წასაკითხად, მათთვის "მთვარის მოტაცება" შეიძ ლება ცოტა ძნელად გასაგები იყოს, მიუხედავად იმისა, რომ გენიალურია, ისევე, როგორც გამსახურდიას სხვა ნაწარმოებები. "დიდოსტატის მარჯვენა" მინიმუმ 20 ჯერ მექნება წაკითხული.

_ ამ ნაწარმოებიდან რომელიმე ციტატა ზეპირადაც ხომ არ დაგამახსოვრდათ?

_ უპირველეს ყოვლისა, არსაკიძისადმი ფარსმან სპარსის ნათქვამი მახსენდება: "ბრძენკაცი უნდა იყვე და შლეგად მოაჩვენო ადამიანებს თავი, გმირი უნდა იყო და ჯაბანსავით დადიოდე, ოსტატი უნდა იყო და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი, რადგან არავის იმდენი მტერი არა ჰყავს ამქვეყნად, როგორც ბრძენკაცს, გმირსა და ოსტატს". შეიძლება ერთი მხრიდან შევხედოთ, რომ ეს ცბიერი ადამიანის პოზიციაა და არამისაღები საზოგადოებისათვის, მაგრამ თუ ეს ადამიანი მტერს იშორებს იმის გამო, რომ იგივე საზოგადოებისათვის უფრო მეტი საქმე წყნარად და მშვიდად აკეთოს, ამაში უთუოდ არის სიბრძნე. მეორე გიორგი მეფის სიკვდილის წინ ნათქვამი ფრაზაა: "თუ ჩვენში დიდი კაცი გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაყოდილ ძერას ყვავები". კითხვის დროს შეიძლება ზოგი აბზაცი ზეპირად რომ გახსოვს, აღარც წაიკითხო და შემდეგზე გადახვიდე... ისევ დუმბაძეს დავუბრუნდები, ამ მწერლის ნაწარმოებებში უდიდესი სიბრძნე, სიყვარული, ქართული ურთიერთობა შეზავებულია გენიალურ იუმორთან, რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხო, შეუძლებელია, ბებიასთან ზურიკელას დამშვიდობების ეპიზოდზე ცრემლი არ მოგადგეს თვალზე, ან არ იცინო თუნდაც ღვინის ქურდობის ეპიზოდზე. სიბრძნეა ამ ნაწარმოებში უდიდესი. ხასიათის გამოსაკეთებლად თუ დასამშვიდებლად თუკი რომელიმე წიგნს გადმოიღებდი, ეს დუმბაძე იქნებოდა.

_ საყვარელი პოეტები გყავთ?

_ გენიალურია ვაჟა, ძალიან ლაღი პოეზია აქვს ლადო ასათიანს, გალაკტიონი გენიალურია და იმდენად გენიალური, რომ არ მრცხვენია ამის თქმა, ვერც ვგებულობ მის ზოგიერთ ლექსს. რა უნდოდა იმ ლექსით ეთქვა, რა იდო მისი ტკივილის ხვეულებში, როცა წერდა. ადამიანს, რომელსაც შეეძლო დაეწერა "სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში," რომლის შინაარსსაც ერთი წაკითხვით ვერ გაიგებ, შეეძლო დაეწერა ასევე აბსოლუტურად ცხოვრებისეული შინაარსის შემცველი "მესაფლავე", დაეწერა ცხოვრების არარაობაზე ძალიან გასაგებად... სამწუხაროა, რომ ამ გენიალურმა ადამიანმა გაცილებით ადრე დაასრულა სიცოცხლე...

_ ცხოვრების რომელიმე ეტაპზე გქონიათ შეხვედრა რომელიმე კლასიკოს მწერალთან?

_ სამწუხაროდ, არც ერთ ცნობილ მწერალს არ შევხვედრივარ, ძალიან მიყვარდა შოთა ნიშნიანიძე და მურმან ლებანიძე, გული იმაზე მწყდება, რომ ვერ შევხვდი ჩვენს თანამედროვე ნიკო გომელაურს, დარწმუნებული ვარ, ეს პოეტი იმ სიმაღლემდე თუ ვერ ავა, სადაც ვაჟა და გალაკტიონი არიან დამკვიდრებულნი, თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართველ პოეტთა თანავარსკვლავედში. ის კარგი მსახიობი და შემოქმედი იყო. ნიკოს და ნინას სიყვარული ცალკე თემაა... მოვა დრო, ქართული საზოგადოება სხვანაირად დააფასებს მას....

დაიბადა 1979 წელს, სკოლა თერჯოლაში დაამთავრა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი 2001 წელს დაამთავრა. სტუდენტობის პერიოდშივე მუშაობა დაიწყო სასამართლოს სხდომის მდივნად. 2005-2009 წლებში მუშაობდა ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორის თანამდებობაზე, ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორის თანამდებობაზე. 2009-2013 წლებში წარმატებით საქმიანობდა საკუთარ საადვოკატო კომპანიაში. 2013-2016 წლებში საქართველოს მთავარ პროკურატურაში ეკავა სხვადასხვა პოზიცია. 2016 წლის 27 თებერვლიდან სამტრედიის რაიონული პროკურორია.

_ გიჩუქნიათ წიგნები საყვარელი ადამიანებისათვის?

_ ძირითადად ვჩუქნი წიგნებსა და საათებს. უმეტეს შემთხვევაში კი, წიგნებს. ამას წინათ ჩემს დისშვილებს ვესტუმრე, ჩემმა დამ მითხრა, ბერძნულ მითოლოგიაში გადავარდნენო, "ბიბლუსში" შევიძინე ბერძნული მითოლოგია და ვუსახსოვრე. იურისტებისათვის ხშირად მიჩუქნია კონსტიტუცია, ჩვენი ყოველდღიური კეთილდღეობა დგას კანონზე, ყველაზე სათაყვანებელი წიგნი ჩვენი კონსტიტუციაა. მაგიდაზე მიდევს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ძალიან პატარაა, მაგრამ იმდენად ბევრი რამ წერია მასში...

_ რას ურჩევთ მომავალ თაობას, არის თუ არა მათთვის განათლება, წიგნიერება ყველაზე დიდი ჯავშანი?

_ თქვენ კარგად იცით, რომ სკოლებში კარდაკარ დავდივართ და ყველა ბავშვის მიერ დასმულ შეკითხვებს ვპასუხობთ. მათაც ვურჩევ იმასვე, რასაც შვილებსა და დისშვილებს. მომავალი თაობა აუცილებლად უნდა იყოს წიგნიერი, წინმსწრაფველი, წარმატებული. შედარებისათვის ერთ მაგალითს მოგიყვანთ: შვილები თუ ახლობლის ბავშვები რაიმეს რომ მთხოვენ, ვეუბნები: თქვენ არ გყოფნით სიტყვები ჩემს დასარწმუნებლად, თუ შენ დღეს გინდა დაიმსახურო კინოში წასვლა, კარგად უნდა დამარწმუნო, შენი თხოვნა კარგად უნდა დამისაბუთო. ქართულ ენაში უამრავი სინონიმი იმიტომ გვაქვს, ტავტოლოგიებით რომ არ ვისაუბროთ. ეს საგანძური კი წიგნში დევს. რაც მეტს წაიკითხავ, მეტ სიტყვას იპოვნი, მეტი ლექსიკური მარაგი გექნება. შეიძლება ინფორმაცია მიიღო გუგლითაც, ტელევიზიიდანაც, მაგრამ მთავარი ლექსიკური მარაგი და ხურჯინი აივსება მხოლოდ და მხოლოდ წიგნით. ვეუბნები, რომ მელაპარაკებით თქვენს უფლებებზე და რომ შეგყევი ხოლმე საუბარში და სადღაც შორს გაგიგვანე, უცებ სიტყვები გამოგელია. აი, ამიტომაა საჭირო მეტი კითხვა. ოცდამეერთე საუკუნეში, როცა ხმლით, დუელითა და ხანჯლით არ ვიგებთ ბრძოლებს, როცა ქვეყნებიც კი აღარ ომობენ, პაირით და სიტყვის ძალით არწმუნებენ ერთმანეთს (ისევ აიეტთან და ფარტაზთან ვბრუნდებით) უნდა შეგეძლოს წიგნის კედლად დახვედრება. ეს არის ერთგვარი ჩემეული რჩევა.

ჩვენი "ვეფხისტყაოსანი"

შოთა რუსთაველი და მისი "ვეფხისტყაოსანი" მსოფლიომ 1934 წელს გაიცნო ყოფილი საბჭოთა კავშირის მწერლების პირველ ყრილობაზე. დღის წესრიგით, მომმე ლიტერატურის მომხსენებელს მხოლოდ 20 წუთი ეთმობოდა. მოხსენების ყველა პროექტს პირადად სტალინი იხილავდა და სათანადო შენიშვნებს იძლეოდა.

ყრილობის მონაწილე ქართველ მწერალთა ჯგუფს (მ. ჯავახიშვილი, ბ. ჟღენტი, ი. აბაშიძე, რ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი...) კავშირის თავმჯდომარე, დიდად განათლებული პიროვნება, მალაქია ტოროშელიძე უძღოდა. სტალინს მალაქიას მოხსენება რომ წაუკითხავს, უკმაყოფილო დარჩენილა. მისთვის უთქვამს, რომ მალაქიას ყრილობისთვის ორსაათიანი მოხსენება დაეწერა. თან დაუვალებია ქართული ლიტერატურის ისტორიის გაცნობა დაეწყო არა უადრეს შ. რუსთაველიდან. დანარჩენი დროც სტალინს გაუნაწილებია. ამის შედეგად, ქართველ მწერალთა ჯგუფი თბილისში დაბრუნებულა, რათა მოხსენების ახალი პროექტი შეედგინა.

მწერალთა საკავშირო ყრილობის გახსნამდე ორი კვირა რჩებოდა. ორ კვირას კი იმხანად მოძრავი მატარებელი თბილისიდან მოსკოვში ჩასასვლელად გზაში ხარჯავდა. ამის გამო ჯგუფს მოხსენების პროექტზე გზაში უმუშავია.

ყრილობის დღის წესრიგის გაცნობისას ჩვენს "უფროს ძმებს" ის ამბავი, რომ მოხსენებას ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ 2 საათი დაეთმობოდა, არ გახარებიათ. სახეზე ერთდროულად უკმაყოფილებაც და გაკვირვებაც გამოხატვიათ. მაგრამ რას იზამდნენ... სამაგიეროდ, გაზეთ "პრავდას" გაუბედავს და ყრილობის მასალების მიმოხილვაში მალაქიას მოხსენების მცირე ნაწილი დაუბეჭდავს. სტალინს რომ წაუკითხავს, სახე შეჭმუხვნია...

და მოხდა ისე, რომ თავის მომდევნო ნომერში "პრავდამ" სიტყვასიტყვით დაბეჭდა მალაქია ტოროშელიძის მოხსენება. შარავანდედით მოსილი ეს ისტორია ფრიად საჭიროა იცოდეს ყველამ, ვინაც კი პოემას წასაკითხად მიეტანება.

ვალერიანე ციკვაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი

სამტრედიის სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა მორიგი წარმატება

კულტურის სამინისტროს ეგიდით გამართული გამოფენა-ფესტივალის "შეხვედრა რაბათში" მონაწილე სამტრედიის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები ახლახან საქართველოს დედაქალაქიდან დაბრუნდნენ. ამ ფესტივალის მონაწილე 16 მოსწავლიდან 11 მოსწავლის ნამუშევრები შეირჩა, მოსწავლეები კი ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სამხატვრო გალერეაში მიიწვიეს. რაბათში მიღებული შთაბეჭდილებები და ემოციები მოსწავლეებმა ერთ ფურცელზე ასახეს, ნახატს ეწოდა "შეხვედრა რაბათთან." ამას გარდა, თითოეულმა მოსწავლემ ორი ნახატი წარმოადგინა თავისუფალ თემაზე.

გვესაუბრება სამტრედიის სამხატვრო სკოლა-გალერეის დირექტორი, ნინო ნინუა: "ჩვენთან ერთად მოწვეულნი იყვნენ მოსწავლეები საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან, ბავშვებმა წარმოადგინეს ნახატები სხვადასხვა ჟანრში: იყო პორტრეტული ჟანრი, ურბანისტული პეიზაჟი, წელიწადის დროების ამსახველი პეიზაჟები. სასიხარულო ფაქტია ის, რომ ელენე ახვლედიანის ბავშვთა ნახატების გალერეის დირექტორმა, მარინა თაბორიძემ ჩვენს ბავშვებს ამ გალერეაში პერსონალური გამოფენის მოწყობა შესთავაზა. აქვე გადაეცათ დიპლომები როგორც ჩვენს მოსწავლეებს, ისე პედაგოგებს. ასევე საამაყოა ჩვენთვის ის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის საბავშვო გადაცემამ "ინკოგნიტო" ვრცელი გადაცემა მოგვიძღვნა. ეს მოსწავლეები 27 დეკემბერს მიწვეულნი არიან საშობაო საახალწლო გამოფენაზე, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართება. სტუდია N-ART ბავშვთა გალერეის და ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით (საჭირო თანხის ნახევარს ისინი გაიღებენ), ეს ბავშვები მიიწვიეს ბაკურიანში.

ნინო ნინუას ასევე მიეცა საშუალება, მადლობა გადაეხადა მასპინძლებისათვის, მან ასევე უსურვა მოსწავლეებს, ისინიც ჩამდგარიყვნენ იმ ღირსეული ადამიანების რიგებში, რომელთაც ქართული კულტურა, კერძოდ, ქართული მხატვრობა მსოფლიო ასპარეზზე გაიტანეს.

ნათია ნაცვლიშვილი

ქრისტე იშვა ბეთლემსა!

ხედავდნენ ღარიბ სახვევში... არსად ჩანს
ხოჭიჭ-აკვანი!...
დაემხვნენ მის წინ მორჩილად, სასოებით
სცეს თაყვანი...
დიდება ყოვლის შემოქმედს! დიდება მისსა მცნებასა!
დიდება ქვეყნად მაცხოვრის ხორციელ
მოვლინებასა!

ალალი წერეთელი

შობა უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესი თორმეტ საუფლო დღესასწაულთაგან ერთ-ერთია, რომელსაც მორწმუნენი განსაკუთრებული სიხარულითა და პატივით ეგებებიან და აღნიშნავენ.

მიზეზთა გამო იესოს მშობლები, იოსები და მარიამი ნაზარეთიდან ბეთლემს გადასულან და თავი დროებით გამოქვაბულისათვის შეუფარებიათ.

ამავე გამოქვაბულში აფარებდნენ თავს უამინდობისას მწყემსებიც, აქვე აბინავებდნენ ნახირსაც.

სწორედ ამ მწყემსებმა ამცნეს ხალხს ხორციელი შობა უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესი.

შობის შესახვედრად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ტრადიციაა.

ზოგან ყველითა და კვერცხით, ზოგან კი ნიგვზითა და სხვა სანელებლებით მომზადებულ კვერებს აცხობენ.

ძველთაგანვეა დამკვიდრებული შობის მომლოცველთა, მეალილოეთა მიერ მილოცვის ტრადიციაც, ისინი სიმღერა-გალობით, ულოცავენ ხალხს უფლის ხორციელ შობას. მასპინძლები კი, ტკბილეულითა და კეთილი სურვილებით უმასპინძლდებიან მათ.

კაცობრიობის ხსნის, ახალი ცხოვრების დასაწყისია შობა-ქრისტესი. გილოცავთ!

ლევან გაბეჩავა

4 იანვარი პატრიარქის დაბადების დღეა!

თანამედროვეობის ყველაზე დიდი ქართველი!

ადამიანი, რომლის ავტორიტეტის დადგენას არ სჭირდება არანაირი საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევა.

თანამედროვეობის ყველაზე დიდი ქართველი!

პატრიარქი საქართველოსი.

ადამიანი, რომელსაც ღვიძავს მაშინაც კი, როდესაც საქართველო, ქართველები, სამწყსო მისი მშვიდ, ღრმა ძილს მისცემია.

თანამედროვეობის ყველაზე დიდი ქართველი!

ადამიანი, რომლის სახელთანაც სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ქვეყნისა და ერის უმნიშვნელოვანესი მოვლენები.

თანამდროვეობის ყველაზე დიდი ქართველი!

ადამიანი, რომელიც განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო ქრისტიანულ სამყაროში, არამედ სხვა კონფესიის წარმომადგენელთა შორისაც.

პატრიარქი საქართველოსი!

ადამიანი, რომლის ინიციატივითაც ასობით ახალშობილი მოევლინა ჩვენს ქვეყანას, გენოფონდს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ახლა, ამ ეტაპზე.

პატრიარქი საქართველოსი!

რომელიც წინასაახალწლოდ კიდევ ერთი, ახალი, შესანიშნავი ინიციატივით გამოვიდა _ უარი ვთქვათ ნაძვის ხის ჭრაზე და თითოეულმა საახალწლოდ ოჯახში შევიტანოთ, შემდეგ კი გავახაროთ ცოცხალი ნაძვი.

პატრიარქი საქართველოსი!

რომლის ინიციატივითა და ლოცვა-კურთხევითაც საქართველოში კავკასიური სოჭის მწარმოებელი საწარმო გაიხსნა.

ბუნებაზე, ჩვენი ქვეყნის ეკოსისტემაზე, გარემოზე ზრუნვითაა ნაკარნახევი პატრიარქის ახალი ინიციატივა.

მისასალმებელია!

დროულია!

...

25 დეკემბერს 39 წელი შესრულდა მისი უწმინდესობის აღსაყდრებიდან.

4 იანვარს 84 წლისა ხდება უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე, როგორც მას უწოდეს მეორე ილია (ილია ჭავჭავაძე).

დღეგრძელ იყოს პატრიარქი საქართველოსი!

მრავალჟამიერ!

ლევან გაბეჩავა

წმინდა აბო თბილელი

თვრამეტი წლის არაბი კეთილშობილი, სწავლული აბრამი, ანუ შემოკლებით აბო, ქართლის ერისთავ ნერსეს მოჰყვა ტყვეობიდან. ნერსე სამ წელიწადს იყო დატყვევებული.

აბომ გულმოდგინედ შეისწავლა ქართული წერა-კითხვა, ახალი აღთქმა, საღმრთო წერილები და დარწმუნდა ქრისტიანობის უპირატესობაში.

"მართალია, მე ბუნებით არაბი ვარ და სჯულითაც მუსლიმანი ვიყავი, სანამ არ გავიგე უპირატესობა ქრისტეს სჯულისა, ეხლა კი თაყვანსა ვცემ ქრისტე მაცხოვარს, რამეთუ ესე არს ღმერთი ჭეშმარიტი"...

"უკეთუ მნებავს ცნობად სიტკბოებისა მისისა, შენც გრწმენის ქრისტე და ნათელ იღე მიმართ და მაშინღა ღირს იქმნენ ცნობად სიტკბოებათა მისთა". განუცხადა აბომ დამსჯელებს.

790 წელს გაქრისტიანებულ აბოს თავი მოჰკვეთეს, გვამი დაწვეს, ნაშთნი კი, მტკვარში გადაჰყარეს.

დიდხანს დადიოდნენ ქართველები სალოცავად ამ ადგილზე. ამბობდნენ იმ ადგილს დიდხანს ღამღამობით ნათელი ადგაო.

წმინდა აბო თბილელს იხსენებს ამ დღეებში ეკლესია.

ლევან გაბეჩავა

ყველაზე დიდი ბუნებრივი ნაძვის ხე

წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლურმა სკოლამ 28 დეკემბერს წინა საშობაო-საახალწლო ზეიმი მოაწყო. "ყველაზე დიდი ბუნებრივი ნაძვის ხე მოირთო ჩვენი სკოლის ეზოში". _ გვითხრა დირექტორმა, ნატალია კოპალეიშვილმა. ამით გამოვეხმაურეთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის კურთხევას, რომ გავამწვანოთ საკუთარი ეზო, დავრგოთ მცენარეები, ვიზრუნოთ გარემოს გამწვანებაზე. სამტრედიაში, ვფიქრობ, ჩვენი ნაძვის ხე ყველაზე დიდია, რომელიც ეზოში დაგვხვდა და ვუვლით, რათა ყოველთვის საზეიმო განწყობილება შეგვიქმნას. რამდენიმე დღის წინ ქალაქის განათების სამსახურის უფროსის, ბატონი ალექსანდრე კლარჯეიშვილის უდიდესი დახმარებით საახალწლო სათამაშოებითა და ფერადი ნათურებით მოვრთეთ ნაძვის ხე. იგი განსაკუთრებით ლამაზია ღამით. ამით ჩვენი უბანი გავალამაზეთ და აქ მცხოვრებლებს დიდი სიხარული მივანიჭეთ".

დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა ახალ წელს მიუძღვნეს ლექსები, სიმღერები, მათთვის ხელოვნური თოვლიც მოვიდა. პატარებმა დამდეგი შობა-ახალი წლის საპატივცემულოდ "ალილო" შეასრულეს.

28 დეკემბერს საახალწლო ზეიმით მართლმადიდებლურ სკოლაში საშობაო არდადეგები დაიწყო.

ნინო ანანიაშვილი



ლამზირა თევზაძე ღია კონკურსის გამარჯვებულია

თსუ საბავშვო უნივერსიტეტი უკვე 4 წელია, ყოველწლიურად აწყობს კონკურსს "შექმენი შენი საახალწლო ნაძვის ხე", რომელიც ნარჩენებისაგან ნაძვის ხეების შექმნას ითვალისწინებს. ნამუშევრები შემდეგი კრიტერიუმებით ფასდებოდა: უპირველესად, უპირატესობა ენიჭებოდა ისეთ ნაძვის ხეებს, სადაც პოლიეთილენი იქნებოდა გამოყენებული; გამოყენებული არ უნდა ყოფილიყო ხე და ვიზუალურად მორთული უნდა ყოფილიყო.

კონკურსის ორგანიზატორების თქმით პირველ ეტაპზე 500-მდე ფოტო გადაისინჯა, მათგან 30 საუკეთესო შეირჩა და მათ შორის ღია კონკურსი 24 დეკემბერს თსუ უწყვეტი განათლების ცენტრში გაიმართა. საუკეთესო 30 ნამუშევარს შორის მე-3 საჯარო სკოლის მასწავლებლის, ლამზირა თევზაძის ნამუშევარიც იყო. საქსოვი ძაფებით შექმნილმა ხელოვნურმა ნაძვმა ნამუშევრის ავტორს სერტიფიკატთან ერთად გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი "სამცხე-ჯავახეთის რუკათა კრებული" და "სამცხე-ჯავახეთის ცნობარი" გადასცეს.

"სამტრედიის მაცნე" დაუკავშირდა მე-3 საჯარო სკოლის პედაგოგს, ლამზირა თევზაძეს და კონკურსის შეფასება სთხოვა:

"ამგვარი ტიპის ღონისძიებები, ჩვენი მხრიდან მისასალმებელია და დიდ მოწონებას იმსახურებს, იმდენად, რამდენადაც ერთის მხრივ ნარჩენების ჩვენს სასარგებლოდ გამოყენებას გვასწავლის და მეორეს მხრივ, ხელს გვიწყობს, დავიცვათ გარემო და გადავარჩინოთ მცენარეების სიცოცხლე.

ამდენად, მეც გამიჩნდა სურვილი, კონკურსში მონაწილეობა მიმეღო. შევარჩიე კიდეც რამდენიმე მასალა, მაგრამ ბოლოს არჩევანი კარგად დაძველებულ საქსოვ ძაფებზე შევაჩერე, რადგან ძაფი უფრო მეტ შესაძლებლობას მაძლევდა, წიწვების ეფექტი შემექმნა. ჩემმა ჩანაფიქრმა გაამართლა და შედეგიც მივიღე".

ნინო ანანიაშვილი

მარიამ თევზაძის წარმატება საფრანგეთში

საფრანგეთის ქალაქ ვანდიოვასში დასრულდა ტრადიციული საახალწლო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის საკმაოდ ძლიერი მოჭადრაკეები. ჩვენი ქვეყნის ღირსებას ქალთა შორის იცავდა ჩვენი ქალაქის მკვიდრი, სამტრედიის № 3 საშუალო სკოლის კურსდამთავრებული **მარიამ თევზაძე**. ასპარეზობა შვეიცარული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა. მარიამმა შესანიშნავად იასპარეზა და 9 შესაძლებლობიდან 8,5 ქულით პირველობა არავის დაუთმო.

მკითხველს შევახსენებ, რომ მარიამი არის გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ქართული ქალთა ჭადრაკის იმედად შერაცხული, საქართველოს ორგზის და ყოფილი სსრ კავშირის კადეტთა ჩემპიონის, მრავალ საჭადრაკო ტურნირში გამარჯვებული, ქართული ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონის, სოფიკო ტერელაძის ქალიშვილი. სამწუხაროდ, იმ დროისათვის საქართველოში შექმნილმა მძიმე სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ, აგრეთვე სხვა ობიექტურმა გარემოებებმა ხელი შეუშალეს მას სრულად წარმოეჩინა თავისი შესაძლებლობები.

იმედი ვიქონიოთ, ამ უკმარისობის გრძნობას მარიამი შეგვივსებს.

აღსანიშნავია, რომ ამავე ქალაქში ქალთა შეჯიბრების პარალელურად მიმდინარე უძლიერეს ვაჟ მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში მონაწილეობდა მარიამის მეუღლე, საერთაშორისო დიდოსტატი **თორნიკე სანიკიძე**. იგი მე-3 საპრიზო ადგილზე გასულს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა და გახდა ერთ-ერთი პრიზის მფლობელი.

ვულოცავ ახალგაზრდა ოჯახს მნიშვნელოვან სპორტულ მიღწევას და დამდეგ შობა-ახალ წელს. ვუსურვებ მათ ოჯახურ ბედნიერებას და ახალ-ახალ წარმატებებს.

ლეონარ სტურუა

სპორტული სკოლის პირველობა ჭადრაკში

დამთავრდა სამტრედიის სპორტული სკოლის პირველობა ჭადრაკში სამ ასაკობრივ ჯგუფში (დირექტორი ივანე კილტავა). როგორც ყოველთვის, თამაში საინტერესოდ წარიმართა.

8 წლიანებში გამოვლინდნენ გამარჯვებულები:

I ადგილი 7-დან 6,5 ქულით ნატალი გაბუნია.

II ადგილი _ ბეგი ჭურკვეიძე.

III ადგილი _ ნიკოლოზ ჟვანია (მწვრთნელი ნინო ჯვარშეიშვილი).

10 წლიანებში I ადგილი დაიკავა მარი გოთოშიამ.

II ადგილი _ ნიკო ბარდაკოვმა.

III ადგილი ბარბარე გაგუამ (მწვრთნელი ბესო ლეჟავა).

აბსოლუტურ კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო გიორგი ელაშვილმა.

მეორე ადგილი წილად ხვდა ბექა გიორგაძეს, მესამე ადგილი კი ნინო მეფარიშვილმა დაიკავა.

გამარჯვებული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ მედლებითა და სიგელებით.

ყველაზე პატარა, ნიჭიერმა მოჭადრაკეებმა, გიორგი ქიმუცაძემ და ლუკა რუხაძემ სიგელები დაიმსახურეს.

მადლობა სამტრედიის სპორტსკოლის დირექტორს, ბატონ ივანე კილტავას, აგრეთვე, ბატონ რამაზ თელიას და ბატონ ვახტანგ შანიძეს თანადგომისათვის.

გულიკო გოგიტიძე
ფაზისის აკადემიის წევრი, მწვრთნელი ჭადრაკში

გონების სავარჯიშო უფროსკლასელთა და აბიტურიენტთათვის

როგორც ვიუწყებოდით, "სამტრედიის მაცნეს" № 32-ში გამოქვეყნებულ გონების სავარჯიშოში დასმულ შეკითხვებზე სწორი პასუხები ზიზი ხვედელიძემ (მეორე საჯარო სკოლა) გამოგზავნა და მუხრან მაჭავარიანის ერთტომეულიც მას ერგო პრიზად.

ამჯერად ახალ შეკითხვებს ვთავაზობთ უფროსკლასელებსა და აბიტურიენტებს.

1. სად, რომელ ქვეყანაში, რომელ წელს გამოცხადდა იანვარი წლის პირველ თვედ?
2. რა ერქვა საათს ძველ ქართულ ენაზე?
3. რომელ წელს დაარსდა ქალაქი რუსთავი?
4. რომელ წელს აღესრულა წმინდა ნინო?
5. ვინ არის დავით აღმაშენებლის ცნობილი ეპიტაფიის ავტორი?
6. მწერალ მარიამ გარიყულის გვარი?
7. ვინ იყო პირველი ქართველი მოჭადრაკე, რომელიც საერთაშორისო სარბიელზე გავიდა?
8. ვინაა "პეტრე იბერიელის ცხოვრების" ავტორი?
9. რა გვარი იყო მაია წყნეთელი?
10. რა ერქვა შოთა რუსთაველის დედას?

შეადგინა ლევან გაბეჩავამ
სწორი პასუხების გამოგზავნი დაჯილდოვდება
გონების სავარჯიშოს შემდგენლის მიერ.

ამბავნარი

***

აქამდე არსებულმა ომებმა ისეთი აურაცხელი სიმდიდრე გაანადგურა, რომ ეს სიმდიდრე 8 მეტრი სისქისა და 10 კილომეტრი სიგანის ოქროს ლენტის ფორმით რომ წარმოვიდგინოთ, სიგრძით მთელ ეკვატორს შემოსწვდებოდა.

***

შანხაიში ხელოვნური ქსოვილების დამამზადებელმა ერთ-ერთმა ფაბრიკამ დაიწყო ხელოვნური ყვავილების გამოშვება. ისინი ძალიან ძნელად გასარჩევია ცოცხალი ყვავილისაგან. საოცარი ისაა, რომ ყვავილები საამო სურნელს აფრქვევენ.

***

ჩრდილოეთ ამერიკის პატარა ქალაქ ვინესბერგის მოსახლეობა ყოველწლიურად 29 ივლისს უჩვეულო იუბილეს ზეიმობს. ეს მათი ადგილობრივი ზეიმია. საქმე იმაშია, რომ "წვიმის ზეიმზე" 29 ივლისს აქ რეგულარულად მოდის ძლიერი წვიმა. საუკუნეში მხოლოდ 8-9-ჯერ თუ გაუმტყუნებს ზეცა იმედს ქალაქელებს.

***

ინგლისში გამოუშვეს მტვერსასრუტები, რომლებიც მიკრობებს სპობენ. ასეთი მტვერსასრუტები დიდ გამოყენებას ჰპოვებენ საავადმყოფოებსა და სხვა რიგ დაწესებულებებში.

***

წლების წინ ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდის "ტავისტას" ცენტრალურმა თავდამსხმელმა "პასოსის" კლუბის ფეხბურთელებთან თამაშის დროს ხუთი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. აღფრთოვანებულმა გულშემატკივარმა ფინალური სასტვენის შემდეგ ხელში აიტაცა მატჩის გმირი და იმდენი კოცნა, რომ ფეხბურთელი იძულებული გახდა, დაზიანებული ყბების სამკურნალოდ საავადმყოფოს სწვეოდა.

***

მეცნიერმა და მოაზროვნემ მიხეილ ლომონოსოვმა ფრანგ მეცნიერ ლავუაზიეზე 41 წლით ადრე ჯერ თეორიულად აღმოაჩინა, ხოლო შემდეგ პრაქტიკულად დაამტკიცა ნივთიერებების წონის (მასის) მარადისობის კანონი.

მან გერმანელ მეცნიერ მაიერზე დაახლოებით 100 წლით ადრე მოგვცა ენერგიის მარადისობის კანონის პირველადი ცნობები.

ლომონოსოვმა დალტონზე 61 წლით ადრე წამოაყენა და საფუძველი ჩაუყარა ატომ-მოლეკულურ მოძღვრებას.

ლომონოსოვმა იუნგზე 59 წლით ადრე მოგვცა დედამიწის ტალღისებური რხევის თეორია, ხოლო 1753 წელს _ ატმოსფერული ელექტროობის თეორია.

***

ფრანგი მეცნიერი ბუდე კაბინეტში თავაუღებლად მუშაობდა, როცა მასთან მოახლე შევარდა და დაუყვირა: ბატონო, ხანძარია, თავს უშველეთო. თუ შეიძლება, მოახსენეთ ჩემს მეუღლეს, მე სამეურნეო საქმეებში არ ვერევიო. _ აუღელვებლად მიუგო მეცნიერმა მოახლეს.

***

ყველაზე დაბალი (ჯუჯა) ადამიანი, ვინც დღემდეა აღწერილი გახლდათ 37 წლის მამაკაცი, იგი 42 სანტიმეტრი იყო, 12 კილოგრამს იწონიდა და ჩვეულებრივად შეიძლებოდა მისი უპრობლემოდ ტარება ხელით. ჯუჯა საფრანგეთში ცხოვრობდა. ამერიკელმა რობერტ ვოდლოუმიმ კი კაცობრიობა მისი სიმაღლით განაცვიფრა. 270 სანტიმეტრი გოლიათი 1940 წელს გარდაიცვალა.

შეკრიბა ლევან გაბეჩავამ

ახალი ლექსები

თქვენი ღიმილით

თქვენი ღიმილით მე დავკარგე თავისუფლება
და ახლა ვცდილობ, ღიმილითვე რომ დავიბრუნო,
და ველოდები, ცაზე მთვარე გამოცურდება
და არ იქნება, ასე ვფიქრობ, ძალზედ უგულო.
და აი! მართლაც ამოცურდა, თითქოს მელოდა,
მშვიდად, ხალისის საიდუმლო გაგანდო გზები,
მაგრამ შორს დადგა, ალბათ, თვალიც ვერ მიწვდებოდა,
რომ არა ღმერთი, მე მის ხილვას კვლავ შევეცდები.
და ასე ტკბილი, მღელვარების უგონო წუთებს,
ანაღიარებს საუკუნოდ ცათა მშვენებად...
კვლავაც დავიდებ სიხარულით ტრფობის მარწუხებს,
განა მგზნებარე გაზაფხულის გასანელებლად.

ვხედავ სიხარულს

აი, ახალი გაზაფხულის ახალ მდელოზე
ვხედავ სიხარულს, გამოწვეულს ვარდების სახით.
და ვარდს, თუ როგორ იფურჩქნება თავის ღეროზე.
სულის სალხენად, საამებლად ერთობ სიცხადით.
ო! რათქმაუნდა, ცისიერთა ამობრწყინება,
გზახსნილ სიხარულს დაამკვიდრებს სულის გადახსნით,
რომ დაეტყობა გულთამხილველთ გადაბირება,
ისეთი, სულით ნამაისებს ველარც კი ავხსნით.

დავით ჩიტაძე

2017 წელს

საახალწლოდ ყოველთვის,
ყოველ ახალ წელიწადს
და სულ პირველ ყოვლისა,
სანატრელი ერთი მაქვს:
სადაც ვიყო, არ ვიყო,
ვლხინობდე თუ ვგლოვობდე,
საქართველო მენახოს,
საქართველო მეხილოს
ერთიანი თავიდან
და მთლიანი ბოლომდე.

შენზე ფიქრი

"იარუსი" აღმა მიქრის,
დაღმა რჩება თელეთი,
არ მასვენებს შენზე ფიქრი,
მივლის ელეთ-მელეთი.
დამეჭირვოს ძმა და თვისი,
ღმერთმა მომცა გუნებად.
საქართველოვ, შენი ნისლიც
გულზე მესალბუნება!

ვალერიან თევზაძე

შობა-ახალი წლის რიტუალები საქართველოში

ახალი წლის თარიღს საქართველოში ხშირად ცვლიდნენ. მეშვიდე საუკუნემდე მას აგვისტოში აღნიშნავდნენ, მეშვიდე საუკუნიდან მეცხრე საუკუნის დამდეგამდე – სექტემბერში, შემდგომ კი ახალი წელი მარტში გადაიტანეს.

რაც შეეხება შობას, ამ დღესასწაულს ჩვენში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რაზეც დეკემბრის ქართული სახელწოდება – ქრისტეშობის თვეც მეტყველებს.

მეკვლეს ფენომენი

ზოგადად, ახალი წელი კარგი საშუალებაა "ძველის დასავიწყებლად და ახალი ცხოვრების დასაწყებად" პირობითი ზღვარი რომ გაავლო. ამიტომ ყველა ცდილობს, ახალი წლის დღეებში ცუდზე ნაკლები იფიქროს და კამპანიისთვის ისეთი ადამიანები შეარჩიოს, ვისთანაც თავს კარგად იგრძნობს. გარდა ამისა, ახალი წელი ერთ-ერთი გამორჩეულად მასობრივი დღესასწაულია და მისი მთავარი ხიბლიც ისაა, რომ უკლებლივ ყველა ოჯახში აღინიშნება. ტრადიციულად, ამ დღესასწაულის შინაარსიც სწორედ რამდენიმე სუფრის შემოვლასა და ახლობელი ოჯახების მილოცვა-დალოცვაში მდგომარეობს, რაც გარკვეული წესრიგის დამყარებას მოითხოვს. წესრიგი კი მარტივად მყარდება, ტრადიციების მიმდევარი ადამიანები ღამის 12 საათს საკუთარ ჭერქვეშ, საკუთარი ოჯახის წევრებთან ხვდებიან.

მანამდე მეკვლეობის მნიშვნელოვანი რიტუალია ჩასატარებელი. მეკვლეობა, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციიდან იღებს სათავეს. სტუმრის მიღება, ტრადიციულად, ოჯახის ღირსებად ითვლება და ქართველ კაცსაც უჩნდება პრეტენზია, ეს ღირსება ახალი წლის პირველივე წუთებიდან დაიცვას. მეკვლე, პირველ ყოვლისა, სტუმარს ნიშნავს და ოჯახის წევრის გარეთ გასეირნება და უკან შემობრუნება მეკვლეობად არ ითვლება. ელგუჯა იოსელიანი, ეთნოგრაფი: "თვითონ სიტყვის შინაარსიდან გამომდინარე, მეკვლემ ოჯახისკენ მიმავალი გზა უნდა გაკვალოს. თუმცა, კვალიც არის კვალიც, და ეს კვალი, პირველ რიგში, "ფეხზეა" დამოკიდებული. ქართველი კაცი, უცხო ოჯახში რომ შედის, კეთილი იყოს ჩემი ფეხიო _ ამბობს. უცხო ფეხის შემოდგმას ოჯახში სიმბოლური დატვირთვა აქვს და "კეთილი და ბოროტი" ფეხის ცრუ რწმენა ჩვენში მხოლოდ ახალ წელს არ უკავშირდება. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ღირსეულ ოჯახს სტუმრისთვის კარი ყოველთვის ღია უნდა ჰქონდეს, საახალწლოდ სტუმარს არა რაღაც "სასურველი", არამედ აუცილებლი სტატუსი ენიჭება.

საერთოდ, მეკვლეს ძველ საქართველოში წინასწარ ირჩევდნენ. პირველ რიგში, ის ოჯახის ახლობელი და სასურველი სტუმარი უნდა ყოფილიყო. ეს ტრადიცია დღესაც შენარჩუნებულია. "შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი _ კვალი ანგელოზისა", ასეთია მეკვლის დალოცვა. სხვადასხვა კუთხეში ეს რიტუალი სხვადასხვანაირი იყო. აღმოსავლეთ საქართველოში მეკვლე ვენახში შედიოდა და საგანგებოდ შემონახულ ყველაზე დიდ მტევანს, კარგ "ყოჩ ვაზთან" დაწურავდა იმის ნიშნად, რომ წელი მოსავლიანი ყოფილიყო. სხვა შემთხვევაში, მეკვლეს ხორბალი შემოჰქონდა და იატაკზე მთესველივით ფანტავდა".

ადრექრისტიანული საახალწლო რიტუალები

საქართველოში ასეთი რიტუალები სრულდებოდა: საახალწლოდ ყურძნის უხვი მოსავლის მიღების მიზნით საგანგებო პურს აცხობდნენ, რომელსაც ქართლში, იმერეთსა და რაჭაში ყურძნის მტევნის მოყვანილობა ჰქონდა. გურიაში კი, კვერის სახით ცხვებოდა და მას "აგუნას პური" ეწოდებოდა. საახალწლო დღესასწაულზე სახლეულის მეთაური ჯალაბითურთ, ანთებული თაფლის სანთლებით შედიოდა მარანში და იქ, სადაც საწნახელი იდგა, თან მიჰქონდა ხაჭაპური, ღვინო და ღორის თავი. ოჯახის უფროსი ამობრუნებულ საწნახელს თოხის ან ნაჯახის ყუას ურტყამდა და სიმღერით ღვთაებას შესთხოვდა:

"აგუნა, აგუნა გაღმიარე,
ბახვი, ასკანა, გაღმოიარე,
ჩვენს მამულში ყურძენი,
სხვის მამულში ფურცელი,
ჩვენს მამულში გოდორ-გოდორი
სხვის მამულში კიმპალ-კიმპალი" და ა. შ.

სიმღერა სამჯერ მეორდებოდა, მერე ტაბლას მიუსხდებოდნენ. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ კერპთთაყვანისმცემლობის დროს აგუნა ნაყოფიერებისა და სიუხვის მფარველად იყო მიჩნეული.

აგუნა-აგუნას მსგავსი წესი ჰქონდათ სამეგრელოშიც. საახალწლოდ გამომცხვარ ოთხ ხაჭაპურს გიდელში (ყურძნის საკრეფი კონუსისებური მოწნული კალათა) აწყობდნენ და გოგონას მარნისაკენ ატანდნენ. ამავე დროს, პატარა ბიჭს მარნიდან ერთი დოქი ღვინო გამოჰქონდა და გოგონას შესახვედრად მიემართებოდა. შეხვედრისას იმართებოდა ჭიდილი, გამარჯვებულს მთელი ნადავლი მარანში შეჰქონდა, სადაც ოჯახის წევრები იყვნენ თავმოყრილნი. იწყებოდა სარიტუალო სმა-ჭამა, აქაც საწნახელს გადააბრუნებდნენ და აგუნას წლის ბარაქას ავედრებდნენ. ჭიდილში თუ ბიჭი გაიმარჯვებდა, იმ წელიწადს პურის და ღვინის მოსავალი კარგი იქნებოდა, თუ გოგონა _ აბრეშუმისა და ყველა იმ მცენარის, რომელთაც ქალი უვლიდა.

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ასეთი წესიც იყო _ ახალი წლის დილას მამალს კოდავდნენ, ოჯახის უფროსი სახლს შემოუვლიდა და "ვაზის პურით", დოქი ღვინითა და დაკოდილი მამლით ვენახში მიდიოდა, სადაც უხვი მოსავლის თხოვნით ლოცვას აღავლენდა. შემდეგ ყვერულს მიწაში ჩაფლავდა, ვაზის პურს ღვინოს დააყოლებდა, ნაწილი კი მამალთან ერთად კვლავ სახლში მიჰქონდა. როგორც ჩანს, ვაზისა და მამლის ერთმანეთთან დაკავშირება, სიუხვისა და მოსავლიანობის სიმბოლოთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

მთაში საქონლის დალოცვა იცოდნენ. ოჯახს რომ დალოცავდნენ, გომურში შედიოდნენ, გატეხავდნენ კვერცხებს და საქონელს ტანზე უსვამდნენ, რათა იმ წელიწადს არ გაბერწებულიყო და კარგი ნაშიერი ჰყოლოდა. იყო ასეთი რიტუალიც, ხარი მდინარეზე ჩაჰყავდათ, წყალში ჩააყენებდნენ, მდინარის წყალს თვითონაც დალევდნენ. ხარს რქებზე სანთლებს აუნთებდნენ. მერე სახლში შეჰყავდათ და კერას სამჯერ შემოატარებდნენ. შემდეგ მეკვლე მუგუზალს იღებდა, კერაში ურტყამდა და ნაპერწკლების ყოველ გაცვენაზე ილოცებოდა: "ამდენი ხარი, ამდენი ცხორი, ამდენი დოვლათი..." ნაპერწკალიც სიმრავლის სიმბოლო იყო.

ახალი წელი სამეფო კარზე

საქართველოს სამეფო კარის საახალწლო ეტიკეტი გამორჩეული გახლდათ: მეფის საზეიმო შემოსვლა, მეკვლე, მილოცვები... ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე, მეჯინიბეთუხუცესი მეფეს სამ ცხენს მიართმევდა, ორი სამეფო ცხენი იყო, ერთი კი _ ჯაგლაგი. ჯაგლაგს კლავდნენ და ხორცს სანადიროდ შეგულებულ ადგილას ყრიდნენ, რათა სუნით ნადირი მიეტყუებინათ. ცისკრის ლოცვის წინ, სამეფო ოჯახში ჭყონდიდელი ჯვრითა და ხატით შემოდიოდა და ის უკვლევდა. ცისკრის ლოცვის შემდეგ კი, ნადირობა იმართებოდა. ამ დღეს ნადირისთვის არ უნდა აეცდინათ და ვისაც მიზანი უმტყუნებდა, იმას წელი ცუდად წაუვიდოდა.

საახალწლო მორთულობები

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ჩიჩილაკს დგამდნენ, აღმოსავლეთში კი _ ნაძვის ხეს. ნაძვი სიცოცხლის, მარადიულობის სიმბოლოა, ჩიჩილაკს კი მეორენაირად, ბასილასაც ეძახდნენ, მზის ფორმა აქვს და თავისი შინაარსით, ისიც სიცოცხლეს განასახიერებს. მას ძირითადად თხილის ხისგან ამზადებდნენ და მერქნის ანათალების ბურბუშელას ხილითა და "ფოჩიანი კამფეტებით" რთავდნენ. ჩიჩილაკის მოსართავად კუნელსაც იყენებდნენ, რომელსაც ოთახში ტყისა და ბუნების ეფექტი შემოაქვს. კუნელის წითელ მარცვლებს, მძივივით აასხამდნენ და ბურბუშელაზე გარშემო ახვევდნენ. ჩიჩილაკის თავი ოთხადაა გაყოფილი, ჭრილში ჯვარს სვამენ და ამ ჯვარზე ვაშლის (ახლა უკვე ფორთოხლებსაც) და ბროწეულებს კიდებენ. ბროწეული სიმრავლის სიმბოლოა, ვაშლები კი, სიჯანსაღის. ზოგიერთები, უხვი წლის იმედით აბაზიანებს ჭედავდნენ და ჩიჩილაკზე ჰკიდებდნენ. ჩიჩილაკზე გაპუტულ ყვინჩილასაც ჰკიდებდნენ, რომელსაც ბოლოსა და ფრთებზე ბუმბულები ჰქონდა დატოვებული. იმერლები ჩიჩილაკს ენდროთი წითლად ღებავდნენ. არსებობს გურული ე. წ. კალპიანი ჩიჩილაკიც.

საახალწლო სუფრა

რაც შეეხება საახალწლო სუფრას, ძველი ქართული საახალწლო სუფრა ნამდვილად არ იყო ისეთი უხვი და მრავალფეროვანი, როგორც დღევანდელი. მაგრამ ასეთ სუფრაზე ყველაზე კარგად ჩანდა ცალკეული კუთხეების გასტრონიმიული ტრადიციები და ზოგადად სუფრის ფენომენისადმი დამოკიდებულება. დავით კობიძე, ეთნოგრაფი: "იმერეთი თავისი სამზარეულოთი ყოველთვის გამოირჩეოდა საქართველოს სხვა კუთხეებისგან და ეს საახალწლო სუფრაზე ყველაზე კარგად ჩანდა. მხალეულობისა და საკაზმის მრავალფეროვნების და ხორცეულის მეტად ორიგინალურად დამუშავების ცოდნის გამო, იმერული სუფრა რაც არ უნდა ღარიბული ყოფილიყო, მაინც გემრიელი იქნებოდა.

მთაში ძირითადად ხორცეულისაგან ამზადებდნენ კერძებს, უმეტესად ყოველგვარი საკმაზის გარეშე და იქაურ სუფრას ნამდვილად აკლდა მრავალფეროვნება. ქართლ-კახეთში საშობაო-საახალწლო სუფრის მშვენებად ითვლებოდა (და სხვათა შორის, დღესაც ითვლება) ნაზუქები. სამეზობლოში რომელი ქალიც ყველაზე კარგ ნაზუქებს დააცხობდა, მომავალ წელს ლხინისა თუ ჭირის სუფრებზე სწორედ ის ინიშნებოდა ქალების ხელმძღვანელად და მთავარ მზარეულად. მეგრულ საახალწლო სუფრაზე ტრადიციული კერძების გარდა, (ღომი, ელარჯი, გებჟალია და სხვა...) აუცილებლად კეთდებოდა რაიმე უცხო. ეს სუფრას განსაკუთრებულ ლაზათს აძლევდა". ახლა რაც შეეხება სასმელს, ძველ ქართულ საახალწლო სუფრაზე ღვინო აუცილებლად უნდა ყოფილიყო. ცნობილი ამბავია, რომ სვანები, მთიულები, ფშაველები და მთაში მცხოვრები სხვა ქართველები, ახალი წლის წინა დღეებში ბარში ჩადიოდნენ ღვინის საყიდლად, რადგან უბრალოდ არ არსებობდა საახალწლო სუფრა ღვინის გარეშე. მთაში, რა თქმა უნდა, სუფრაზე ლუდიც იყო და არაყიც, მაგრამ ახალი წელი, ღვინის გარეშე ხომ წარმოუდგენელია.

ალილო საშობაო საგალობელია

საქართველოს ყველა კუთხეში შობის ბრწყინვალე დღესასწაულზე განსაკუთრებული განწყობა იგრძნობოდა. წირვის დასრულების შემდეგ, მგალობლები თითოეული ჭიშკრის წინ ჩერდებოდნენ და ყველას ქრისტეშობას ულოცავდნენ. მათ თან დაჰქონდათ კალათები, რომლებსაც მოსახლეობა პროდუქტებით, ტკბილეულითა და სხვადასხვა ნივთებით ავსებდა. ალილოს მონაწილეთა მსვლელობა დიდხანს გრძელდებოდა, თუმცა მისი კულმინაცია შეგროვილი შესაწირის გაჭირვებული ოჯახებისთვის გადაცემა იყო. სწორედ ქველმოქმედება დაედო საფუძვლად ალილოს ტრადიციას.

ალილო ქართული საგალობელია, რომელიც შობის წინა ღამეს სრულდება. სწორედ საგალობლის სახელწოდება დაედო საფუძვლად საქართველოში საუკუნეების წინ დამკვიდრებულ საშობაო ტრადიციას.

XX საუკუნეში, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, ალილოს ტრადიცია დავიწყებას მიეცა, თუმცა 1990-იან წლებში იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ აღორძინდა. აქედან მოყოლებული ყოველი წლის შობა დღეს, სადღესასწაულო ლიტურგიის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა ეკლესიის მრევლი გალობით უერთდება ალილოს საზეიმო მსვლელობას.

გრიგოლ მერაბიშვილი

2017 წლის ჰოროსკოპი
რას გვიწინასწარმეტყველებს ცეცხლისფერი მამალი?

ასტროლოგია არის ერთ-ერთი ეზოთერული სწავლება (სფერო), რომელიც ადამიანის პიროვნებასა და მიმდინარე მოვლენებს ახასიათებს პლანეტის განლაგების მიხედვით. ფაქტობრივად მასში შერწყმულია მატერიალური და სულიერი, ორი მეტად განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სამყარო.

ვირთხა _ (1960, 1972, 1996 და ყოველი მომდევნო მე-12 წელი) ყოველთვის გონივრულად და დინჯად ეკიდება გარშემო ატეხილ აურზაურს, ზის თავის ბუნაგში და ნამდვილად სწორად იქცევა. მომავალ წელს ქარიშხლის მძვინვარებაა მოსალოდნელი, თუმცა ვირთხას ნაკლებად შეეხება და მთელი წელი სტაბილურად ჩაივლის.

ხარი _ (1961, 1973, 1985, 1997 ყოველი მომდევნო მე-12 წელი) გარკვეული დროის მანძილზე საკუთარი სულის ძიებასა და შესაძლებლობების ქონის ეჭვებქვეშ იყო, თუმცა მომავალი წელი სწორედ რომ გამოფხიზლების წელია, დროა თავი ზემოთ ასწიოთ, რადგან ვარსკვლავური წელიწადი გელოდებათ, რომელიც მთელ წელს ნათელს გპირდებათ. იფრთხილეთ გადაწყვეტილების მიღებისას და ყველა მრჩეველს ნუ ენდობით, მიენდეთ ძალებს და წინ, მიზნისკენ გასწიეთ.

ვეფხვი _ (1950, 1962, 1974, 1986, 1998 და ყოველი მომდევნო მე-12 წელი) ვეფხვი ერთ-ერთი იშვიათი ნიშანია, რომელსაც 2017 წელს პატარა შესვენების აღება სჭირდება. წარმატების მიღწევა, მხოლოდ მდინარის დინების მიმართულებით ცურვის შემთხვევაშია შესაძლებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაიყაროს. ნუ აქვითინდებით, ნუ ამბოხდებით და ნუ შექმნით ქაოსს, დამშვიდდით და დაფიქრდით ღირებულებებზე, ეს იქნება შესანიშნავი დამწყები კაპიტალი მომავალი გამარჯვებებისთვის.

კატა-კურდღელი _ (1951, 1963, 1975, 1987, 1999 და ყოველი მომდევნო მე-12 წელი) არც მათ ელით მაინცდამაინც იღბლიანი წელი, ის საკმაოდ რთული იქნება, თუმცა მაინც ნუ დაგავიწყდებათ წინ-წინ ხტომა, რადგან დაბრკოლებას ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით, თუმცა ვინც იბრძოლებს, გამარჯვებას უთუოდ მოიპოვებს.

დრაკონი _ (1952, 1964, 1988, 2000, 2012 და ყოველი მომდევნო მე-12 წელი) აი, ვის პირდება 2017 წელი განსაკუთრებულ უპირატესობებს. ასტროლოგები ვერ ხსნიან რატომ, თუმცა ცეცხლისფერი მამალი, სწორედ რომ ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულებს სწყალობს მომავალ წელს.

გველი _ (1953, 1965, 1977, 1989, 2001, 2013 და ყოველი მომდევნო მე-12 წელი) 2017 წელს თქვენ გელით რიგი გამოცდები, რადგან ცეცხლისფერი მამალი ეჭვის თვალით გიყურებთ. ფრთოსანი არც ისეთი საშიშია, ამიტომ იბრძოლეთ მიზნისთვის, დაბრკოლებები შეგხვდებათ, თუმცა წინსვლა მაინც თქვენზეა დამოკიდებული.

ცხენი _ (1954, 1966, 1978, 1990, 2002, 2014) თქვენ თუ არა, აბა ვის? წარმატებისა და შრომის დაფასების წელი გელით, რადგან გასული ორი წელი უქმად არ გაგიტარებიათ. სწორედ რომ წარმატების დროა და გამარჯვებას მალე მოიპოვებთ, თუნდაც ცუდის მსურველი გადაგეღობოთ, ცეცხლისფერი მამალი მთელი დადებითი ენერგიით ადვილად გადაგალახინებთ ამას.

თხა-ცხვარი _ (1955, 1967, 1979, 1991, 2003, 2015) მათთვის 2017 ცისარტყელას ფერებით დახატული და მაჟორული ნოტებით გაფორმებული წელი იქნება, ამიტომ იფრთხილეთ, რომ არ დაზარალდეთ, რადგან არაა მცირე ცუდისმოსურნეთა რიცხვი თქვენს გარშემო.

მაიმუნი _ (1956, 1968, 1980, 1992, 2004, 2016) მიუხედავად იმისა, რომ წელს მისი წელია, არც მომავალ წელს ტოვებს უსაჩუქროდ ფორტუნა _ დამსახურებული სიურპრიზები და დასვენებები უხვად იქნება. ამ ყველაფრისთვის კი ცოტა მეტი უნდა ეცადოთ, ვიდრე წელს, თუმცა მაიმუნებისთვის ხომ ეს პრობლემას არ წარმოაგდენს, ღირსეული გზით თვითდამკვიდრება მათ ყველაზე კარგად გამოსდით.

მამალი _ (1957, 1969, 1981, 1993, 2005) მამლები ცხენებით, თუნდაც ე. წ. ჭორჭილით მიაჭენებენ გამარჯვებისკენ, უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა, რაც მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ამიტომ იმისათვის რომ შეაქონ და შეამჩნიონ, რას არ იზამს. საკუთარი შრომისმოყვარეობის გამო წარმატებას გისურვებთ ტანდემი 2017 წელს.

ძაღლი _ (1958, 1970, 1982, 1994, 2006) გამოცდებისა და წარუმატებლობის წელი მალე მიილევა, უბრალოდ უნდა მიგეღოთ ისინი და გადაგელახათ, რის შემდეგაც წარმატებას მიაღწევდით და არა მინის იქიდან გეცქირათ. თუმცა, ეს ყველაფერი გავლის და 2017 წელს ერთ დღესაც მოვა წარმატება.

ღორი _ (1959, 1971, 1983, 1995, 2007) ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანისათვის უცხოა ცნება მუშაობა, ოჯახის კეთილდღეობა და მიუხედავად ამისა, ცეცხლისფერი მამალი ყველაფერს ხედავს და მზადაა დაეხმაროს მას, თუმცა ღორი ამას იშვიათად ამჩნევს და ღებულობს, ან თუ ღებულობს, ხარჯავს ნეგატიურ ემოციებზე. მთავარია გაუფრთხილდეთ თავს და ახლობლებს და ცეცხლისფერი მამალი დაგეხმარებათ ყველაფრის გადატანაში.

რა გელით ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით.

ვერძი

მაიმუნმა ხშირად მოგიწყოთ გამოცდა. აინტერესებდა, როგორ გაუმკლავდებოდით უცნაურ სიტუაციებს და რამდენჯერ შეძლებდით "წყლიდან მშრალად გამოსვლას"... უნდა გაგახაროთ, რომ ცხოვრებისეული გამოცდები წარმატებით ჩააბარეთ. მამლის წელიწადში შრომის შედეგს მიიღებთ. ის გულუხვად დაგაჯილდოვებთ, თუ წელსაც ბეჯითად იშრომებთ. გათავისუფლდებით მავნე ჩვევებისაგან, რომლებიც ხელს გიშლით განვითარებაში. გახსოვდეთ, მამალს უყვარს ენერგიული ადამიანები, რომლებიც დასახული მიზნების მისაღწევად იბრძვიან.

კურო

2017 წელი უამრავი საქმიანი ხელშეკრულების გაფორმებასა და სარფიან შემოთავაზებებს გპირდებათ. რა თქმა უნდა, კარიერული წინსვლისთვის შრომა მოგიწევთ, მაგრამ არ გაგიჭირდებათ პირველი ნაბიჯის გადადგმა და გამარჯვების მიღწევა. აგრეთვე, დადებითი მომენტებით აღსავსე იქნება თქვენი პირადი ცხოვრებაც. სიურპრიზები გელით სასიყვარულო სფეროში. მზად იყავით პოზიტიური ცვლილებებისთვის.

ტყუპები

წლის პირველ ნახევარში განსაკუთრებული სიფრთხილე და დაკვირვებულობა გმართებთ. არც ერთი ნაბიჯი და არც ერთი გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოთ აწონ-დაწონვის, გაანალიზების გარეშე. წლის მეორე ნახევარში, როცა საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებს გაუმკლავდებით, დრო ოჯახსა და ახლობლებს უნდა დაუთმოთ. მარტოხელა ტყუპებს სასიყვარულო თავგადასავლებით მდიდარი წელი ელით.

კირჩხიბი

მამლის წელიწადში საშუალება მოგეცემათ საუკეთესო თვისებები გამოავლინოთ. ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი თქვენთვის სარგებელს მიიღებთ. საშუალება მოგეცემათ, წარმატებით დაასრულოთ ის, რაც წინა წელს დაიწყეთ. მზად იყავით იმისთვის, რომ 2017 წელს გახშირდება შორეული ნათესავების ვიზიტი. ახლო ნათესავების მიმართ კი მეტი მზრუნველობა და ყურადღება გმართებთ.

ლომი

სიფრთხილე და დაკვირვებულობა უნდა გახდეს თქვენი დევიზი 2017 წელს. ეცადეთ, გააანალიზოთ თითოეული ნაბიჯი და არ მიუშვათ სიტუაცია თვითდინებაზე. მთელი წლის მანძილზე მოგიწევთ მშვიდობიანად მოაგვაროთ ურთიერთობები, აწარმოოთ მოლაპარაკებები, მოერიდეთ საქმეების სკანდალურად გარჩევას; იმ შემთხვევაშიც კი, თუ საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ხართ. განსაკუთრებული წარმატება გელით უძრავი ქონებით ვაჭრობის სფეროში. თუ გსურდათ მისამართის შეცვლა, მამლის წელი გამოიყენეთ.

ქალწული

მსხვილი პროექტების განხორციელებისა და ახალი წამოწყებების წელია, რაც საგრძნობლად გაგიუმჯობესებთ მატერიალურ შემოსავალს. იმისათვის, რომ არ გადაიღალოთ და ახალ-ახალი იდეების გააზრების საშუალება მოგეცეთ, მეტი ისეირნეთ სუფთა ჰაერზე. სასურველია იოგას ვარჯიში და რაც მთავარია, ყოველ ორშაბათს, დილით ჩამოწერეთ სამოქმედო გეგმა და მის მიხედვით იმოქმედეთ. ასტროლოგები გირჩევენ, 2017 წელს შინაური ცხოველი _ კნუტი ან ლეკვი გაიჩინოთ. ის მოსაწყენ ფიქრებს გაგიქარვებთ და გაგახალისებთ კიდეც.

სასწორი

დიდი შესაძლებლობების წელი დაგიდგათ. მარტივად მოაგვარებთ თქვენს წინაშე წამოჭრილ რთულ საკითხებს. დაასრულეთ დაწყებული პროექტები, რათა ახალი წლიდან ახალი პროექტების განხორციელება შესძლოთ. დიდი ალბათობით, 2017 წელს შეხვდებით ადამიანებს წარსულიდან და გაარკვევთ ყველა უსიამოვნებას, მოიცილებთ ბალასტს. მამლის წელიწადი ახალ შეხვედრებსა და ნაცნობობას გპირდებათ. სწორედ ამ წელს შეხვდებით ადამიანს, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე თქვენი მეგზური გახდება.

მორიელი

სასიამოვნო და უჩვეულო მოვლენებით აღსავსე წელი გელით. თავგადასავალი ყოველი ფეხის ნაბიჯზე გელოდებათ. ცეცხლოვანი მამალი აუცილებლად დაგეხმარებათ ახალ წამოწყებებში და საქმეების დასრულებაში. საქმეებისა და ვალდებულებების პარალელურად, ნურც დასვენებას დაივიწყებთ. ზოგიერთს გარემოს შეცვლა ელის _ ახალ ქვეყანაში ან ქალაქში გამგზავრება, რომელშიც ადრე არ ყოფილხართ. განსაკუთრებით პოზიტიური პერიოდი ოქტომბრის შუა რიცხვებიდან დაგიდგებათ.

მშვილდოსანი

გადახედეთ თქვენს მოსაზრებებს სამსახურთან, საქმიანობასთან დაკავშირებით. ნუ ჩაერთვებით მონოტონური საქმეების მოგვარებაში. გადაიწვებით და ვეღარ შეძლებთ ორიგინალური ჩანაფიქრების განხორციელებას. საკმაოდ მგრძნობიარე და ემოციური წელი გელით. განსაკუთრებით პირად ცხოვრებაში. შეხვედრებისა და დადებითი ემოციების წელია. ცეცხლოვანი მამლის წელიწადში დაწყებული ურთიერთობა მყარი და ხანგრძლივი იქნება. უკვე დაქორწინებულებს კი კავშირის გამყარების საშუალება მიეცემათ.

თხის რქა

მამლის წელიწადი ცხოვრებას ახალი ფერებით გაგიხალისებთ. უნდა იყოთ აქტიური, ამტანი, ჯიუტი სასურველის მისაღწევად საბრძოლველად. ერიდეთ არაკეთილმოსურნეებს, მათ შორის, ფარულსაც. ყველას არ შეუძლია სათანადოდ შეაფასოს თქვენი აქტიურობა. წლის განმავლობაში რამდენჯერმე მიიღებთ საინტერესო საქმიან შემოთავაზებებს. მხოლოდ შემოდგომაზე შეძლებთ დასვენებას და დამშვიდებას. სასიამოვნო სიახლე მართოხელა თხის რქებისთვის: შემოდგომა-ზამთრის პერიოდში რომანტიკული ნაცნობობა გელით.

მერწყული

მოგეთხოვებათ, მეტად გააქტიურდეთ იმ პრობლემების მოგვარებისას, რომლებიც გეჩვენებათ, რომ წარსულში მოიტოვეთ. ნუ ნერვიულობთ, საკმაოდ წარმატებული წელი გელით. მოსალოდნელია ხშირი შეხვედრა ძველ მეგობრებთან. მათი დახმარებით მოაგვარებთ სამსახურის საქმეებს, პერსპექტივა გამოგიჩნდებათ კარიერაში. თქვენი წარმატება დამოკიდებული იქნება თქვენს მონდომებასა და უნარზე, საერთო ენა გამონახოთ გარშემო მყოფებთან.

თევზები

შეხვედრებითა და მოვლენებით დატვირთული წელი გელით. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დაგადანაშაულონ ეგოიზმსა და უგულობაში. ცვლილებები გელით ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, გარეგნობაშიც. ვარსკვლავები გირჩევენ, ზამთარში დაისვენოთ: პროდუქტიულობით და დადებითი მომენტებით აღსავსე პერიოდი გელით.

ახალი წელი ოცნებათა სცენაზე ახდენით დაიწყო

არდადეგები რომ ჩაივლის, მეოთხე ბაგა-ბაღის მოსამზადებელი ჯგუფის პედაგოგი მარინა კაკაბაძე და მისი აღსაზრდელები სპექტაკლზე "მაკნატუნა" გვეპატიჟებიან. მანამდე კი, მისმა პატარებმა ჯადოსნურ საახალწლო ზეიმზე მიგვიწვიეს. ცეცხლოვანი წითელი მამლის წლის დასახვედრად ყველა ბავშვი უჩვეულოდ მორთულ-მოკაზმულა, ზამთარიც მოიხმეს და ახალი წელიც. ციმციმებდნენ ნაძვის ხეზე სათამაშოები, ძგერდნენ ციცქნა გულები თოვლის ბაბუს მოლოდინში, ჯერ კიდევ სჯერათ პატარებს მის ხურჯინში დავანებული ტკბილეულის ლაპლანდიური წარმომავლობისა და ბევრი უჩვეულო სურვილის ახდენისა. მარინა მასწავლებელმა მათი ნაწილი აქვე, ზეიმზე აუხდინა პატარებს. ანასტასია ამაღლობელს თოვლის პაპამ აჭარული ცეკვის სამოსი მოუტანა, ანასტასია ხაბეიშვილმა კი, კონკიას ლამაზი კაბა და ფეხსაცმელი ინატრა. პრინციც გამოჩნდა სცენაზე, მარინა მასწავლებელმა ბრძანა, ოქროს ქოში პრინცმა მას უნდა მოარგოს, ვისაც აირჩევსო. ასე აირჩია ანასტასია ხაბეიშვილი თემო აფხაზავამ. ბალ-მასკარადი პრინცისა და პრინცესას გარეშე წარმოუდგენელია, შესანიშნავი ცეკვა შეასრულეს პატარებმა სპექტაკლიდან "მაკნატუნა". ტკბილად იმღერეს "ალილო", წაიკითხეს ლექსები, გვიმღერეს საახალწლო სიმღერები. მარინა მასწავლებელმა საჩუქრები პატარებთან ერთად მათ დედიკოებსაც დაურიგა, მის მიერ გადმოცემულ ფურცლებზე ბევრი საგულისხმო რამ წერია. თოვლის ბაბუამ საჩუქრები მოიტანა.... ბაღის მმართველი ნანა დუნდუა ვინ იცის, მერამდენე თაობას ესიტყვება საახალწლო ლექსითა თუ სიმღერით, მერამდენე თაობას ულამაზებს ცეკვით საახალწლო კარნავალს. მან პაციფისტური შინაარსის ლექსი უკრაინელი სტუმრებისათვის წაიკითხა და მათი აპლოდისმენტებიც დაიმსახურა. ბაგა-ბაღის მეთოდისტების, მარინა ბაღდავაძის და მარინა ქოჩოვის განსაკუთრებული მადლობა დაიმსახურეს პედაგოგმა, პატარებმა,

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" კოლექტივს სულით და გულით ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს, დაესწარით მრავალს.

თქვენი ერთგული მკითხველი და თაყვანისმცემელი ავთანდილ კაშია

ლიკა გოგიას!

დაბადების დღეს და დამდეგ შობა-ახალ წელს ერთად მოგილოცავთ! ქალური და ოჯახური ბედნიერება დაგებედოს ულამაზესი გოგონების დედას. ულევი სიხარულის და ჯანმრთელობის მომტანი ყოფილიყოს ყოველი მომდევნო წელი აღმაფრენით სავსე ცხოვრების გზაზე.

"სამტრედიის მაცნე"

ქალბატონ დალი ლამბაშიძეს!

სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სახელით, უდიდესი პატივისცემითა და დიდი სიყვარულით გილოცავთ 70 წლის იუბილეს.

შესანიშნავ ქალბატონს, ნიჭიერ პედაგოგს, ყველასათვის საყვარელ ადამიანს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას. არ მოგკლებოდეთ თქვენი აღზრდილების, კოლეგების და თანაქალაქელების სითბო და სიყვარული.

მრავალ ბედნიერ იუბილეს დაესწარით!

იდღეგრძელეთ!

"ყველას, ყველას, სიხარული ყველას"

"ორუდილას" საახალწლო პროექტი: "ყველას, ყველას, სიხარული ყველას" სამ კონცერტს მოიცავდა. პირველი 20 დეკემბერს კულტურის ცენტრში ჩატარდა, რომელშიც ანსამბლის უფროსი და უმცროსი თაობა მონაწილეობდა. ხოლო მეორე და მესამე _ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში 25 დეკმბერს გაიმართა მოსამზადებელი ჯგუფების მონაწილეობით.

მოსამზადებელი ჯგუფი "ნეკოდენები", ყველაზე პატარები არიან. მათი ასაკი 3 წლიდან იწყება. მოზარდების შესაბამისად შერჩეული იყო საახალწლო რეპერტუარი, რომლებსაც დებიუტანტებმა თავი საკმაოდ კარგად გაართვეს.

"ცეროდენები" მეორე წელია, "ორუდილაში" მოღვაწეობენ მათ კონცერტებზე საახალწლო სიმღერებისა და ცეკვების ნამდვილი კორიანტელი დააყენეს.

სცენის კულტურა, ვოკალური ჩვევები პატარა მსახიობებმა ზედმიწევნით კარგად წარმოადგინეს. მოულოდნელი სიურპრიზი იყვნენ მაყურებლისთვის კონცერტში ჩართული მშობლები, ძირითადად დედიკოები, თავიანთ შვილებთან ერთად რომ შეასრულეს საახალწლო დუეტები. როგორც აღმოჩნდა, სიმღერისა და ცეკვის ტალანტი მარტო ბავშვებს არ ჰქონიათ.

საღამო მიჰყავდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორს, ტატა გოგუაძეს, რომელმაც კიდევ ერთხელ წარმოაჩინა თავისი აღსაზრდელებისადმი უზომო სიყვარული და პატივისცემა. ამის დასტურად ტატა გოგუაძემ საახალწლო თემაზე სიმღერა შეასრულა.

"ნეკოდენებისა" და "ცეროდენების" საახალწლო კონცერტის ორგანიზატორი და მუსიკალური ხელმძღვანელი გახლდათ კომპოზიტორი ნონა ჭახნაკია, ქორეოგრაფი ნანა ბებია, სამხატვრო ხელმძღვანელი ელენე ანკვაბი.

ამით დაასრულა ანსამბლმა "ორუდილამ" წარმატებული საახალწლო პროექტი. გაჩნდა სურვილი ხელმძღვანელმა, ნონა ჭახნაკიამ, კიდევ ბევრი ლამაზი დღეები აჩუქოს სამტრედიელ მაყურებელს, ბავშვებს და მშობლებს.

ნინო ნანიტაშვილი

ვულოცავთ!

ეკა ცომაიას!

დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს ღირსეულ დედას და კოლეგას. ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ, გფარავდეს და გაძლიერებდეს უფალი, შენი ერთადერთი შვილის წარმატებებით გეხაროს მრავალჟამიერ!

ზიკო ჯინჭარაძეს!

დაბადების დღეს ვულოცავთ "სამტრედიის მაცნეს" კედლებში გაზრდილ დედისერთა ბიჭს, უკვე წარმატებულ სტუდენტს, **ზიკო ჯინჭარაძეს**. პროფესიულ წინსვლას, ჯანის სიმრთელესა და ღვთის შეწევნას ვუსურვებთ.

"სამტრედიის მაცნე"

თამაზ ნიკურაძეს!

დაბადების დღესა და კარს მომდგარ შობა-ახალ წელს გილოცავთ, იხარე და იდღეგრძელე. უფალი გფარავდეს ჩვენო თამაზ!

"სამტრედიის მაცნე"

უახლოესი მეგობრები 30 წლის შესრულებას ულოცავენ **ლაშა ლორიას**. უსურვებენ ბედნიერებას და მალე დაოჯახებას.

თამუნა ჯინჭველეიშვილს!

დაბადების დღეს და შობა ახალ წელს ვულოცავთ ნიჭიერ, ჭკვიან, გამორჩეულ მოსწავლეს, კარგად აღზრდილ ცისფერთვალა გოგონს. ჩვენი გაზეთი მისთვის მეორე ოჯახია, სადაც მისი სიხარული, წინსვლა და წარმატებები ახარებთ. დიდი ბედნიერება, ჯანმრთელობა და ფერადი ოცნებების ასრულება დაბედებოდეს გოგონას, რომლის ნახვაც უხარია "სამტრედიის მაცნეს"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839
სამტრედიის მაცნე
დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაზუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა